პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 44 (1473), პარასკევი, 29 ოქტომბერი. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

პარტიის მოწოდებებს საქმით ვუპასუხებთ

გაივლის რამდენიმე დღე და საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამერვე წლისთავს. ორმოცდარვა წლის წინათ ოქტომბრის ნათელმა სხივმა ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ გაფანტა წყვდიადი, დაამხო კაპიტალიზმის ბატონობა და სათავე დაუდო კაცობრიობის განვითარების ახალ ერას.

ორმოცდარვა წლის მანძილზე ჩვენი დიადი სამშობლო მტკიცედ მიდის წინ, ბრძენი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. ამ გზაზე საბჭოთა ხალხს ბევრი სიძნელე და დაბრკოლება შეხვედრია, მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული, ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იგი მუდამ წარმატებით სძლევდა ამ დაბრკოლებას და განუხრელად აშენებდა ახალ ცხოვრებას.

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვით შთაგონებული და აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შემოქმედებითი აღმავლობით ეგებება დიად დღესასწაულს. ჩვენი სამშობლოს მშრომელები მთელ ძალებს ახმარენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესრულებას. შესაძლებლობას არ იშურებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXIII ყრილობას.

საბჭოთა ადამიანები ყოველთვის აქტიურად ეხმაურებიან პარტიის მოწოდებას, და ახლაც საოქტომბრო მოწოდებებმა მთელს ჩვენს ქვეყანაში უჩვეულო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ამ დღეებში ახალი ძალით ვლინდება მასების შემოქმედებითი აქტიობა. ისინი საქმით ამტკიცებენ თავიანთ თავდადებულ ერთგულებას პარტიის ლენინური გენერალური ხაზისადმი, რაც პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობის მორიგი ნათელი გამოხატულებაა.

ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და შემოქმედებითი წარმატებების სათავეა ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელმაც საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა ერთ დიდ ძმურ ოჯახად აქცია. ჩვენი დიადი სამშობლო იძლევა მაგალითს, თუ როგორი სიყვარულითა და ურთიერთგაგებით უნდა ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ხალხები. საოქტომბრო მოწოდებებით პარტია შთაგვაგონებს:

— დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და ძმური მეგობრობა!

მშრომელთა ბედნიერებისათვის მებრძოლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ ხაზს საგარეო პოლიტიკაში. იგი გამოხატავს მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა მისწრაფებას, როცა შეუპოვრად ებრძვის იმპერიალისტთა თავშეუკავებელ აგრესიას და ცდას არ იშურებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის. საოქტომბრო მოწოდებებში ხმამაღლა ჟღერს:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას!

ჩვენი პარტია მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგას, იგი მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებს იბრძოლონ კოლონიური მონობის სამარცხვინო სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის, იბრძოლონ იმპერიალიზმზე დამოკიდებულების ყველა ფორმის წინააღმდეგ, რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით იზრდება და ვითარდება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, მტკიცდება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა. ყველა ქვეყნის კომუნისტებს აერთიანებს მიზნის ერთობა, ურყევი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი.

მგზნებარედ გაისმის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების სიტყვები:

— გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობასა და შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების საფუძველზე!

მიმართავს რა საბჭოთა კავშირის ხალხებს, სკკ პარტია აყენებს ამოცანას — ვიბრძოლოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნების, — მთელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და რენტაბელობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს მოუწოდებს იბრძოლონ ნაწარმოებთა პარტიულობისა და ხალხურობისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის, უფრო ნათლად ასახონ საბჭოთა ხალხის გმირული საქმეების სიდიადე და სილამაზე, ბრძოლა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები მზად არიან საქმით უპასუხონ პარტიის ამ მოწოდებას. ისინი შესაძლებლობას არ დაზოგავენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ პარტიის უახლოესი თანაშემწის როლი, თავიანთი მაღალიდეური და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებებით ხელი შეუწყონ მშრომელთა მასების კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდას.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება შთააგონებენ მშრომელებს მტკიცედ და თავდადებულად იბრძოლონ კომუნიზმისათვის, რომელიც დედამიწაზე დაამკვიდრებს ყველა ხალხის მშვიდობას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას.

— გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

— გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

ავამაღლოთ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე

27 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხზე.

თათბირზე მოწვეული იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაციების, პედაგოგიური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. სტურუამ.**

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ო. ჩერქეზიამ**, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. **თ. ლაშქარაშვილმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ამხ. **გ. ჯიბლაძემ.**

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. **კ. ცოტიშვილი**, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ამხ. **ი. აბაშიძე**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ხვარცკია**, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ამხ. **ო. თაქთაქიშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ამხ. **გ. ბანძელაძე**, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **ვ. შადური**, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ამხ. **ი. ურუშაძე**, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. **თ. სტეპანენკო**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ბ. გუგუშვილი.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. მჟავანაძემ.** (საქინფორმი).



ყაზბეგი. ფოტო ი. ნიჟარაძისა.

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავის გამო

დიდი მამულიშვილი

ი. გოგებაშვილი, რომლის დაბადების 125 წლისთავს დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ქართველი ხალხი, ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო. იგი მხარში ედგა ილიას, აკაკის და მათთან ერთად მონაწილეობას იღებდა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე, რომლის ხორცშესხმაშიც მას ცხოველი მონაწილეობა არ მიეღოს. იაკობმა, უპირველეს ყოვლისა, საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ პედაგოგიკას და ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერ მამად ითვლებოდა. ამავე დროს, დიდი დამსახურებული და პროპაგანდისტი იყო ქართული მწერლობისა.

იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, ხელოვნებას ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მხატვრული ლიტერატურის შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქციები.

ამ თვალსაზრისით განიხილავდა და აფასებდა დიდი ქართველი პედაგოგი ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

„ბუნების კარში“ ი. გოგებაშვილი წერდა: „რუსთაველის სახელოვანი თხზულება „ვეფხისტყაოსანი“ შეუდარებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს [illegible]

[illegible]

იაკობ გოგებაშვილი
თხზულებანი
10

იაკობ გოგებაშვილი — თხზულებანი. ტომი 10. ამ ტომით მთავრდება ი. გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის გამოცემა. ამ გამოცემით განხორციელდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ნაწარმოებთა მეცნიერულად სრული გამოცემა. მეათე ტომში მოთავსებულია ი. გოგებაშვილის ნაწერების ბიბლიოგრაფია, მეცხრე ტომის შენიშვნები და კომენტარები, შემდგენლის ბოლოსიტყვაობა.

ბიბლიოგრაფია შეადგინეს ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა: მ. აბრამიამ, ნ. ბერძენიშვილმა, ქ. თოხლიშმა, ლ. მუმარიშვილმა, ტ. ნიჟარაძემ, ლ. [illegible] პროფესორ დ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. რედაქტორი — ვ. ჭაჭაია. გვ. 391, ფასი 1 მან. 25 კაპ.

[illegible] რული სახელმძღვანელოების შემდგენლის მოხსენებითი ბარათი სინოდის ობერპროკურორის პობედონოსცევისადმი“, რომელშიც ი. გოგებაშვილი სასტიკად კიცხავდა რეაქციონერებს, რომლებიც „დედა ენიდან“ გამოდევნიდნენ ესთეტიკური გრძნობის განმავითარებელ მხატვრულ ლექსებს.

ვ. ჭაჭაია

სამეცნიერო სესია

თბილისი. ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა დ. ჩხიკვიშვილმა. მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (მომხსენებელი დოცენტი ვ. ჭაჭაია), ი. გოგებაშვილი — საბავშვო მწერალი (მომხსენებელი დოცენტი [illegible]), ი. გოგებაშვილი — დედაენის სწავლების მეთოდიკის ფუძემდებელი (მომხსენებელი დოცენტი [illegible]), ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ (მომხსენებელი დოცენტი გ. ბათიაშვილი), ი. გოგებაშვილი ბუნების სწავლების შესახებ (მომხსენებელი დოცენტი [illegible]), ი. გოგებაშვილი არითმეტიკის სწავლების შესახებ (მომხსენებელი [illegible]).

ქართული სცენის ბერმუხა

აკაკი ხორავას დაბადების 70 წლისთავის გამო

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ სამოცდაათი წლისთავი აკაკი ხორავამ ავქსენტი ცაგარელის გმირის როლის განსახიერებით გადაიხადა. პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" ავტორის მიერ მოფიქრებული იყო როგორც ტრაგედია. ეს მისი პირველი დრამატული ქმნილება კი კომედიად დადგინდა. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ იმ დროს ვლ. მესხიშვილი ჯერ კიდევ არ იყო ქართული სცენისათვის აღმოჩენილი; მთელი დასი, იმ დროს, კომიკოსი მსახიობებისაგან შედგებოდა. აკი ვასო აბაშიძემ, მისთვის ჩვეული გონებამახვილობით გაკვესლა დასის შემოქმედებით შესაძლებლობათა შეზღუდულობა, როცა სცენიდან აღიარა: დრამას ვთამაშობთ და კომედია გამოგვდის.

მიხეილ ჭიაურელის დამსახურებაა, რომ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" ავტორისეულ ჩანაფიქრს დაუახლოვა, თუ გინდ იმითაც, რომ მთავარი როლის შემსრულებლად აკაკი ხორავა მიიწვია. აკაკი ხორავას განსახიერებამ ავქსენტი ცაგარელის გმირს კეთილშობილება, ხალხურობა, ვაჟკაცური შემართება და გმირული ბუნება აღუდგინა.

* * *

ᲐᲙᲐᲙᲘ ხორავა არაჩვეულებრივი სასცენო მონაცემებით დაჯილდოებული მსახიობია. თეატრის ისტორიით ცნობილ ოსტატთა შორის ძნელად მოიძებნება ასეთი ახოვანი, ვაჟკაცური წარმოსადეგობის, მთავრის აღნაგობით მადლმოსილი არტისტი. როდესაც ხედავთ კიბის მთელ სიგრძეზე გაწოლილ მის ოტელოს, თქვენ გაოცებთ ბრინჯაოს გოლიათის მონუმენტური შნო და ლაზათი.

ასეთ იშვიათ გარეგნობასთან ერთად ა. ხორავას საოცარ სცენურობას ყოველთვის აღტაცებაში მოუყავდით. პროჟექტორებით განათებულ არენაზე, მრისხანებისა თუ საბრძოლო შეძახილის დროს ის საოცრად იზრდებოდა და ნამდვილად დევგმირისეული წარმოსადეგობით აღიმართებოდა ხოლმე მავრის, მეამბოხე გლეხის, დიდი მოურავის თუ დიდი ხელმწიფის სახით. ამავე დროს ამ ბრწყინვალე ოსტატს შეეძლო სცენაზე დაპატარავებულიყო, — უბედურებისა და სევდა-მწუხარებისაგან განადგურებულად ეჩვენებინა თავი, რომ შემდეგ ჩვენდა გასაოცებლად, ისევ სასწაულებრივად ეცვალა სახე დრამატული გმირის ბუმბერაზული სურათოვნებით.

ამ ორმოცდახუთ-ორმოცდაათი წლის წინათ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენიდან პირველად გაისმა აკაკი ხორავას მქუხარე ხმა — იოქანაანის (უაილდის „სალომეა"), ხეციას (შ. დადიანის [illegible]), უსახელოს (ტოლერის „კაცი-მასა"), ანდუყაფარის (გ. ერისთავის „გაყრა") როლებში. ათეული წლების მანძილზე, დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრებით მსახიობმა თავისი ხმის სიმდიდრე და სიღრმე გადაგვიშალა. „ოტელოსა" და „დიდ ხელმწიფეში" მისი ხმა ხან ელვა-ქუხილის მჭექარებით გრგვინავდა და ხან აბრეშუმის შრიალის მსგავსი ტემბრით გვხიბლავდა.

ა. ხორავას ოტელოს მქუხარე რისხვას თუ გრძნობამორეულ ნაზურბულ ალერსს ერთნაირად ახასიათებს რიტმული სიმტკიცე და ბგერათა სისუფთავე. ბრწყინვალე დღეობისა და ყურთასმენისათვის მიმზიდველ მის სიტყვაში იგრძნობა ფოლადის ნაჭედობაც და ხავერდის სილბოც.

ბრძოლისაკენ მოუწოდებს ხალხს, თუ მტერზე თავდამსხმელად არის მოზიდული მისი ანზორი, სენატის წინაშე დინჯად წამდგარა მისი ოტელო, თუ გახელებულ კასიოსა და მონტანოს შორის ხმალდაშვებით დგას, სამეფო ტახტზე ზის, თუ შვილის ცხედარს თავს დასდგომია მრისხანედ წოდებული მეფე, — ყოველ მის პოზას ოსტატისაგან ნაქანდაკევის განზოგადოებული სურათოვნება მოსდგამს. დეზდემონას მოსაზიდად გაწვდილი ოტელოს ხელები, თუ უარყოფისა, უკუგდებისა და ზიზღის გამოსახატავად უკან გადმოჩრილი მისი ხელი, სატახტო დარბაზში ელჩებს უსმენს, თუ სასოწარკვეთილი ძირს განრთხმულა შვილისა თუ მეუღლის ცხედართან, — ა. ხორავას მიერ პლასტიკურად გამოხატულ მოძრაობას ყოველთვის ჰარმონიულობა და კეთილშობილება ახასიათებს.

მაღალნიჭიერებით მადლმოსილი და ბრწყინვალე ოსტატობით შეიარაღებული დრამატული არტისტის შემოქმედებით ენერგიას და გაქანებას უსიტყვო როლები აჩენენ ხოლმე. ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს ა. ხორავა შავკანიანის უსიტყვო როლში („ინტერვენცია") ის არასოდეს არ დაივიწყებს რევოლუციის სიმართლით გამოფხიზლებულ ზანგს, — გამოღვიძებული აღმოსავლეთის ხალხთა ბუმბერაზული ძალის განმაზოგადოებელ სახეს, სახეს წინასწარმეტყველურს — აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოახლოების მაუწყებელს. მსახიობი ამ როლში უსიტყვოდაც მიიწვდა მაყურებლის გულს და შეძრა იგი.



აკაკი ხორავა — უსახელო.
ნახ. ირ. გამრეკელისა.

ა. ხორავა უპირატესად ტრაგიკოსი მსახიობია. მაგრამ მისი დიაპაზონი კომიკურ და სახასიათო როლებსაც სწვდება. ვისაც უნახავს, არ შეიძლება არ გაიხსენოს მისი აფრასიონი ალიო მირცხულავას „განგაში"-ში, — ცხოვრებისეული სიმართლით, სატირიკული სიმკვეთრით და სიმახვილით ტიპიურობამდე აყვანილი სახე.

ა. ხორავა თანამედროვეობის მხატვარია. ისტორიულ თუ საყოფაცხოვრებო დრამაში, ტრაგედიასა თუ კომედიაში მას ყველგან თანადროულობის გმირული სული, გზნება და მღელვარება შეაქვს, ჩვენი დროის ნათელი შუქით განმარტავს ტექსტს. იგი საბჭოთა აქტიორულ ხელოვნებაში რევოლუციური რომანტიზმის მიმართულების დამამკვიდრებელი მსახიობია, დიდი ხასიათების, ფართო განზოგადოებათა რევოლუციის ტრიბუნის მგზნებარებით გამომსახველი ოსტატი. მისი ანზორი, ბერსენიევი, ზანგი, პლატონ კრეჩეტი, არსენა, ელიშუქი მოწმობენ, რომ ა. ხორავა ხალხის საწუკვარ მისწრაფებათა გამომხატველი ხელოვანია. ის თავის შემოქმედებით უმღერის საბჭოთა ხალხის გმირობას და მძლეთამძლეობას.

როდესაც ა. ხორავას ანზორს, კარლ მოორს, არსენას, ოტელოს, ბერსენიევს და მრისხანეს ვიხსენებთ, ჩვენ სრული სიცხადით წარმოვიდგენთ ამ მსახიობის მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალობას, ორიგინალობას. მას გმირული ტონი შეაქვს კომედიების განსახიერებაშიაც კი. ამ მსახიობს თავისი საკუთარი ხედვა და ხმა აქვს, ის თავის სამშობლოს სადიდებელ ჰანგს თავისებურად მღერის. ა. ხორავას განსახიერებაში, — დეზდემონასადმი ვაჟკაცური მიჯაჭვულობაა ეს, თუ კვიპროსის მხედრობისადმი მისალმება, დიდი ხელმწიფის თავშეკავებაა თუ არსენასა და ოტელოს ვეფხისებური ნახტომი, სიდარბაისლე თუ სიფიცხე — ყოველ სცენაში ჩვენ ვგრძნობთ მშობლიურს, ახლობელს, ქართულს, უდრესად ეროვნულ შემოქმედებას.

ა. ხორავას მიერ შექმნილი სახეები ერთნაირად გასაგები და ამაღელვებელია თბილისსა და მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში, ოდესასა და ბაქოში. მაყურებელს ქართულის არ ცოდნა ხელს არ უშლის. ა. ხორავას სახისა და ხელის მეტყველება, მისი სულის ცხოველმყოფელი მოძრაობით გადმოცემული ტემპერამენტი საკმარისი ხდება, რომ ეჭვიანობის ხანძარში გახვეული ოტელოს ენით უთქმელი ტანჯვით მაყურებელთა მთელი დარბაზი შეიძრას. სამხატვრო თეატრის მესვეური ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ოტელოს როლის საუკეთესო შემსრულებლად ა. ხორავას მიიჩნევდა. შექსპიროლოგები (პროფ. მოროზოვი და სხვ.) აკაკი ხორავას ოტელოს აცხადებდნენ საუკეთესო ოტელოდ ყველა მათ შორის, ვინც კი უნახავთ — უცხოელ შემსრულებელთა ჩათვლით. საქართველოში 1960 წ. სტუმრად ჩამოსულმა ნიუ-იორკის ფენიქს-თეატრის ხელმძღვანელმა ნორის ჰოუტონმა განაცხადა: „თქვენს გამოჩენილ თეატრზე ამერიკაში ბევრი მსმენია, ხოლო აკაკი ხორავაზე ლეგენდები დადის. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას გამეგონა ხორავას დიდი ნიჭის ამბავი და პირველი შესაძლებლობისთანავე თქვენკენ გამოვეშურე."

უდავოდ ეს იმას ნიშნავს, რომ ა. ხორავას არტისტულ შემოქმედებას, ინდივიდუალურ ორიგინალობასა და მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ თავისებურებასთან ერთად, გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობა, რაც ფასს სდებს არა მარტო ამ მსახიობის ნიჭსა და ოსტატობას, არამედ მთელ ქართულ საბჭოთა თეატრსაც.

აკაკი ხორავას შემოქმედება დღესაც იმ მხრივაც არის დასაფასებელი, რომ ქართული თეატრალური განათლების ისტორიაში მან ახალი ფურცელი ჩაწერა. მისი თავგამოდებით და მესვეურობით ჩამოყალიბდა საქართველოში უმაღლესი თეატრალური განათლების კერა — რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, რომელმაც ქართულ თეატრს აღუზარდა მსახიობთა, რეჟისორთა და თეატრმცოდნეთა მთელი თაობა.

აკაკი ხორავა ბედნიერია, რომ მან თავის შემოქმედებით შორს გაუთქვა სახელი ქართულ საბჭოთა თეატრს, მთელ საბჭოთა სასცენო ხელოვნებას. ის ნამდვილად ხალხის საამაყო და სასიქადულო ხელოვანია.

ამიტომაც არის, რომ დღეს მთელი ქართველი ხალხი გულმხურვალედ ულოცავს ჩვენს საამაყო შემოქმედს აკაკი ხორავას დაბადებიდან 70 წლისთავს და ქართული სცენის ბერმუხას უსურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლეს, შთაგონებულ შემოქმედებასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ

სურათებზე: აკაკი ხორავა (მარცხნიდან მარჯვნივ) არსენას, კარლ მოორის, და ანზორის როლებში.

ი. გოგებაშვილი და აღზრდის საკითხები

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის ორგანიზატორი იაკობ გოგებაშვილი ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში განუმეორებელი ფიგურაა.

საყოველთაოდ ცნობილია ქართული აზროვნების ისტორიაში ი. გოგებაშვილის პედაგოგიკის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკა, უშინსკის, კომენსკის, პესტალოცის პედაგოგიურ ნააზრევთან ერთად, მოწინავე ხალხთა პედაგოგიური აზროვნების შეფერია და მარქსამდელი პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში შეტანილი მნიშვნელოვანი განძია.

ი. გოგებაშვილის სწავლა-აღზრდის თეორიაზე, მის პედაგოგიურ და დიდაქტიკურ პრინციპების მნიშვნელობაზე ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ სუსტად არის გამოკვლეული ესთეტიკური აღზრდის თეორიაზე მისი შეხედულებები. ეს უკანასკნელი კი ფრიად მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის თეორიისათვის.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ ნააზრევში გამოკვეთილია ადამიანის ჰარმონიული განვითარების იდეა, რომელიც ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული აღზრდის პირობებს არის შეფარდებული.

ი. გოგებაშვილი სწავლა-აღზრდის ძირითად იდეალად ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას და ყოველმხრივ მომზადებას სახავდა და ისეთი სკოლების აგებას მოითხოვდა, რომლებსაც შეეძლო მოემზადებინა „ჩვენი ქვეყნის ახალი ტიპის ქართველები". ახალი ტიპის ქართველებისათვის ისეთი აღზრდა-განათლების მიწოდება იყო საჭირო, რომ ისინი ყოველმხრივ ყოფილიყვნენ მომზადებული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ მთავარია ბავშვის „სულის ჰარმონიულად განვითარება, რაც შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისას". („ბუნების კარი", გვ. IV, 1900 წ.). ი. გოგებაშვილი განიხილავს აღზრდის სისტემას და გამოჰყოფს შემდეგ სახეებს: გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარება. რა თქმა უნდა, ი. გოგებაშვილი პირდაპირ მითითებას არ იძლევა აღზრდის მთლიანი პროცესის ცალკე სახეების ან დარგების შესახებ, მაგრამ თუ მის აღზრდის სისტემაში აღზრდის მიზნებსა და ამოცანებს განვიხილავთ, ნათლად დავინახავთ, რომ ი. გოგებაშვილი აღზრდაში სწორედ ზემოთაღნიშნულ ოთხ სახეს გულისხმობდა.

ი. გოგებაშვილი აღიარებდა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების იდეას და წინააღმდეგი იყო ცალმხრივი განათლებისა, რომლის დროსაც „მისი ერთი რომელიმე მოღვაწეობის განვითარების მიზანს მსხვერპლად ეწირება ყოველი სხვა ფიზიკური და სულიერი ნიჭი".

ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ცხოვრების გზა ადამიანს ბავშვობის ასაკიდან ეწყება, ამიტომ საჭიროა მისი აღზრდა ადრეული ასაკიდანვე დავიწყოთ, როდესაც ბავშვი ნაბიჯის გადადგმას იწყებს, და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას.

ი. გოგებაშვილი, კ. უშინსკის მსგავსად, თავის პედაგოგიურ აღზრდას ხალხურობის იდეას უკავშირებს. ხალხურობის იდეას კი ადამიანის განვითარებას უფარდებს და ამ უკანასკნელს ხალხურობის მთავარ გამოსახულ ელემენტად სთვლის. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლეგენდებს. ი. გოგებაშვილის აზრით „ლეგენდა ძვირფასი საღარია, დაუშრეტელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სამიდერე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა, გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა", რომ „ნამდვილის კაცურ გონების, გრძნობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში, მათი პირადი, ბედნიერება... შეუძლებელია, თუ მათ აღზრდაში მონაწილეობას არ მიიღებს „ეროვნული ლეგენდები". („ბურჯი ეროვნებისა", რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 363).

ი. გოგებაშვილი ბავშვის აღზრდის, მისი ყოველმხრივი მომზადების და განვითარების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, საბავშვო მწერლობას. იგი ცხოველად ეხმაურებოდა საბავშვო ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, მღელვარე, გულისტკივილით წერდა მის ნაკლოვანებებზე და დაუღალავად ზრუნავდა მისი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის; ი. გოგებაშვილი მოითხოვდა ბავშვებისათვის შექმნათ მიმზიდველი და საინტერესო საკითხავი წიგნები, რომლებიც „რთულ" ამბებსაც კი უბრალოდ და გასაგებად ახსნიდა. საბავშვო ლიტერატურისათვის ზრუნვა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის განუყრელი ნაწილი იყო. ი. გოგებაშვილის ესთეტიკური კონცეფცია ამოსავალს მის აღზრდის თეორიაში იღებს.

ი. გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურის ნიმუშებს პედაგოგიური თვალსაზრისით განიხილავდა, რათა ახალგაზრდობაში მხატვრული სიმართლის გრძნობა საჭირო ჩვევები გამომუშავებოდა, ხელი შეეწყო მისი იდეურ-ესთეტიკური აღზრდისათვის. ლიტერატურის შერჩევის დროს ითვალისწინებდა აგრეთვე ბავშვის ასაკს, მის ემოციებსა და აღქმის უნარს.

ი. გოგებაშვილი იმ დროზე ოცნებობდა, როდესაც სწავლა-აღზრდა ნამდვილად სახალხო საქმე იქნებოდა და მოზარდ თაობას ყოველმხრივი განვითარების საჭირო პირობები შეექმნებოდა. ახლა გოგებაშვილის ოცნება ფრთაშესხმულია და წინ მიიწევს.

ამ ნათელ გზაზე ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობა აქტუალურად გვეხმარება, იგი ხელს უწყობს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის დიდ საქმეს.

ᲑᲔᲚᲐ ᲖᲝᲜᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

15 წლის იაკობ გოგებაშვილი. (ამოღებულია „სახალხო ფურცლიდან").

ია

კლავდია დევდარიანი

ᲘᲐᲙᲝᲑᲘ ფანჯარასთან იდგა. მთაწმინდას გასცქეროდა. მთაწმინდის მიდამო მზის შუქს გაენათებია. უყვარდა იაკობს დილის მზით განათებული მთაწმინდის ცქერა.

იაკობი მამაცაშვილებისაგან გვიან დაბრუნდა. უძნელდა იქედან წამოსვლა. რა იზიდავდა იაკობს მამაცაშვილებისას? დაროს თვალებმა ფანჯრიდან შემოიხედა.

როგორ უცინოდა თვალები დაროს. ზამბახებივით ლურჯი თვალები ჰქონდა მას, რომელიც მუდამ სიხარულისა და სიცოცხლის სხივით ანათებდა. რად იზიდავდა იაკობს ეს თვალები ეგრე როგორ? მოეჩვენა, ოთახის ყოველი კუნჭულიდან ლურჯი თვალები უღიმოდნენ და ოთახი ივსებოდა თვალების ამ ბრწყინვალებით. არა, არა, როგორ დიდი სურვილიც არ უნდა მქონდეს, არ შემიძლია შევცვალო ჩემი ცხოვრების ერთი წუთიც კი. თვალწინ დარიკო დაუდგა, როგორ უბრწყინავდა სიწითლე, რა ლამაზი იყო!

იაკობი დაროს გვერდით იჯდა. დარო როიალს უკრავდა და თან ლურჯი თვალებით იაკობს უღიმოდა. დაროს გაღიმებული თვალების დანახვაზე იაკობის გულმა ტკბილად შეფრთხიალა, თითქოს ფრთა გაშალა და აფრინდა სულ ზევით და ზევით. დარომ ხელი უკანასკნელ აკორდს დაკრა და ადგა. იაკობიც წამოდგა. გარშემო ყველაფერი ძიგძიგებდა.

სარკეში იაკობმა თავის ანარეკლს მიაპყრო თვალი. შეჭმუხნა, დააცქერდა. სარკიდან გამხდარი და ფერმკრთალი სახე უცქეროდა. უცებ მის გვერდით დაროს ვარდისფრად აღაგზნებული სახე დაინახა. არა, ამ ორ ადამიანს საერთო არაფერი აქვს. როგორ შეიძლება ეს სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე არსება იაკობთან ერთად ოთახში გამოიკეტოს. ოთახი ხომ გალია იქნება დაროსათვის, იაკობი სარკეს მოსცილდა. წიგნების თაროს მიუახლოვდა.

რამდენი წიგნები, რამდენი საქმე, მარტოობისათვის სადა სცალია იაკობს. მაშ რადა გრძნობს მარტოობას?

ფიქრები მოიცილა და მაგიდას მიუჯდა. ვერ მოისვენა. წამოდგა. კვლავ ფანჯარასთან მივიდა. წყნარი დღე იყო. მზით განათებულ მთაწმინდაზე ფოთოლიც არ ირხეოდა. არა, სახლში გული ვერ უდგება იაკობს. წავა მთაწმინდას შეაფარებს თავს. მოსასხამი წამოიგდო მხრებზე. სოლოს ვერ გაუგია ისე გამოვიდა გარეთ. აღმართს ნელი ნაბიჯით აჰყვა.

წირვა დამთავრებული იყო. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა აქა-იქ. ბავშვები ყვავილებივით შესეოდნენ მთაწმინდის ფერდობს, ყვავილებს კრეფდნენ, პეპლებს დასდევდნენ და მხიარული სიცილ-კისკისით აყრუებდნენ იქაურობას.

ყველაზე პატარებს გრიბოედოვის საფლავის ქვებთან მოეყარათ თავი. თამაშობდნენ, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ. მინდვრის ყვავილების პატარა კონებს ერთმანეთს აჩვენებდნენ.

იაკობმა პატარების მახლობლად ქვაზე მოსასხამი გაშალა და დაჯდა. უყურებდა მათ თამაშს, გულს სიხარული ევსებოდა.

პატარა გოგონა მოშორებით მდგომ უფროსებისაკენ გაიქცა. ახალგაზრდა კაცს მუხლებზე შემოეხვია:

— მამილო, წამოდი, გაჩვენო, როგორი პეპელა დავიჭირე! — ახალგაზრდა კაცი საუბარს განაგრძობდა, ყურადღებას არ აქცევდა პატარის თხოვნას.

„მამა, მამილო!" — ჩუმად გაიმეორა იაკობმა. რა თბილი და ახლობელი იყო ეს სიტყვები. იაკობმა გულის კუნჭულში მწვავე ტკივილი იგრძნო.

მაწყინებელი გრძნობა გაახსენდა. ახლა უკვე გაზრდილ ეპისკოპოსად წოდებული, ერთხელ, შემთხვევით თავს რომ წააყვა, დაკარგული შვილების მოტირალს. რად წაართვა ღმერთმა მამობის უფლება გერასიმეს?

— ქვეყნის მამად იყო გამზადებული, ახვევა ხარ შენც — არ ეშვებოდა ვიღაც. — ჩვენი ახალგაზრდობის მამადა ხარ მოწოდებული, არ შეგფერის შვილთა მყოლობა.

— განა ისინი ერთმანეთს ხელს შეუშლიდნენ. — მორცხვად ჩაიჩურჩულა ლურჯთვალა ზამბახმა და მზერა შეაგება იაკობს. — შენი „დედა ენა", — კვლავ წაიჩურჩულა ზამბახმა და სიომ შეარხია იგი.

„დედა ენა"! „დედა ენა" — შესძლებს შვილების მაგიერობა გაუწიოს იაკობს?

— მარადიული ძეგლი იქნება ის შენთვის, უკვდავი იქნება შენი შვილი. — ჩურჩულებდა კვლავ ზამბახი და სადღაც შორს, სივრცეში იკარგებოდა დაროს თვალები.

„პირველი ასო, პირველი სიტყვა?"

— მაგ დაბრკოლებასაც გადალახავ. განა როდესმე გაშინებდა დაბრკოლებები? გაიზრდება შენი პირმშო, დავაჟკაცდება, უბერებელი იქნება მუდამ. რა სჯობს კარგ შვილს მშობლის საამაყოდ, თავმოსაწონებლად.

იაკობმა კვლავ პატარებს მიაპყრო მზერა. პატარა გოგონა მწვანე მოლზე იჯდა, კალთაში მინდვრის ყვავილები ეყარა, თაიგულს აკეთებდა. როგორი ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე სახე ჰქონდა პატარას! ლოყები ვარდისფრად ეღაჟლოდა. კულულები მხრებზე დაეყროდა და ისეთივე ლურჯი თვალები ჰქონდა, როგორც დაროს.

იაკობი ადგა, პატარა გოგონასაკენ გაემართა. ბუჩქებმა გზა გადაუღობეს, მოიცილა ისინი. ბუჩქის ძირიდან ლურჯთვალა იებმა მზერა შეანათეს, შეირხნენ, ყელი მოიღერეს.

იაკობმა გოგონას ხელი დაუქნია. გოგონამ მოირბინა, იების დანახვაზე ხელი ხელს შემოჰკრა. აწეული კაბის კალთა დააგროვდა, მინდვრის ყვავილები გარშემო მიმოიფანტა და მისმა ბავშურმა ხმამ მთაწმინდის ფერდობზე გაიწკრიალა:

— ია, ია, ძია, რამდენი ია!! — გოგონას თვალები უბრწყინავდა, ტაშს უკრავდა, იაკობს შესძახოდა: — ძია, დაკრიფეთ, აი ია, რამდენი ია!!

იაკობი გახევდა, რას ამბობს გოგონა?

— ძია, ია, რამდენი ია!! — არ ისვენებდა გოგონა.

— ია, ია!! — იაკობმა ძლივს ამოიდგა ენა. შუბლი მოისრისა. — ია, აი ია!!

ბავშვებმა ბუჩქთან მოიყარეს თავი, იებს დაუწყეს კრეფა. ძია კი კვლავ მათთან იდგა და ჩურჩულებდა.

— ია, ია, აი ია, ჩემი „დედა ენა"!!

აღარ ახსოვს იაკობს როგორ მივიდა. შორის ხმამ გამოარკვია. სოლო დაფეთებული გამოვარდა გარეთ.

— რა იყო, ბატონო?

— სოლო, სოლო, აი ია, ია!! — სოლო უკან დაიწია. იაკობი გაატარა და მზერა გააყოლა.

იაკობმა მაგიდაზე დასდო ია, მაგიდას გარს უვლიდა, ხელებს იფშვნეტდა და ჩურჩულებდა: — ია, ია, აი ია!!

სოლო დაკვირვებით მისჩერებოდა ის, განსაკუთრებული ვერაფერი დაინახა, ხელები გაასავსავა და კარი გაიხურა.

იაკობი ბედნიერი სახით ბოლთასა სცემდა, ხანგამოშვებით შეჩერდებოდა, იას შეხედავდა.

ძლივს, ძლივს მიაგნო დედაენისათვის პირველ ასოს, პირველ სიტყვას, დედაენის გასაღებს და ეს ბედნიერი დღე, შვილის დაბადების ტოლი იყო იაკობისათვის.

მოიკანცა. სიხარულმა კვლავ გარეთ გაიწია. ვისთან მივიდეს, ვის გაუზიაროს თავის ბედნიერება. აკაკი, აკაკი სამხედროშია და აქეთ ჩამოსვლას არ აპირებს. ნიკო ცხვედაძეს აღარაფერი ახსოვს ქართული უნივერსიტეტის გარდა, დარო, დარიკო! ალექსანდროვის ბაღისკენ დაუყვა დაღმართს.

---

* ავტორმა დაწერა ი. გოგებაშვილის ცხოვრებისადმი მიძღვნილი რომანი, „მაწყვლებელი". ვბეჭდავთ ერთ ნაწყვეტს ამ რომანიდან.

ᲢᲐᲒᲣ ᲛᲔᲖᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ჩემი სამშობლოს მზით და დარებით

ახლა სოფელში იწვის კოცონი,
დაიფერფლება ადრე თუ გვიან
და მე ბარათს გწერთ ბიჭებს,
რომლებიც
ჩემი ნატვრა და სურვილი გქვიათ.

მე ვფიქრობ თქვენზე,
ღრუბლის მარმილზე
წვეთ სავსე მთვარე ძალიან ზევით...
თქვენი ხმა მესმის,
ეს თქვენ მაფრთხილებთ,
რომ არ ვიარო ისე გზებით.
როგორც მუხლია ნაზი და თბილი,
იმედის თეთრი შუქი ვერ ქრება
გულს და მე გვქვს ერთადერთ ბილიკს,
რომელსაც მხოლოდ ჩემი ერქმევა...
რომ ჯერ უთქმელი სიტყვამ და
ლექსმა
სამშობლოს ტრფობის ბალიში
დაკვლის,
რომ ავიყვანო ბავშვივით ხელში
ბედი და ტკბილად მივუალერსო.
მამური ქარები ქროლვის და სისხლს

ავიტან, იგი ჩემთვისაც ითვლის,
რომ ირმებს და თამარის სახლში
ვიმღერი ქართულ თამამ სიმღერას.
რომ აღარ მქონდეს ფიქრით დაღლილი
თვალები სავსე ეჭვით და ნატვრით,
რომ მაგიდაზე ჩემი წიგნები
არ იდოს როგორც უცნობი კარტი.
რომ დროს და ვამე, ნუგეშს და ნოდარ,
არ მივიწყებდეს ძვირფას სახელებს,
რომ სურვილები,
რაც გულში მქონდა,
კვლავ იცნებებში თვალებს ახელდნენ,
ასე ესხმოდეს, ნოდარ და ნუგზარ,
ჩემი სამშობლოს მზით და დარებით,
ახლა კი, ახლა,
ამ მთვარის შუქზე
ვწვავთ და ძილი არ მეკარება.
სოფელში აღარ იწვის კოცონი
და ვარსკვლავები სიმშვიდეს
მპყრიან...
გოგონები ბიჭებს, ბიჭებს, რომლებიც
ჩემი ნატვრა და სურვილი გქვიათ.

ᲛᲘᲠᲝᲜ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ

გარბენილი გზა

წუხელის წვიმდა,
დღეს კი ალმით გზები გაშრება,
ჩამოიქროლებ
ჩემს ჭიშკართან სოფლის ბავშვებმა.

თითქოს მეც ახლა
მეპყრას ჩანთა, სავსე წიგნებით,—
ჩემი ბავშვობის
გარბენილ გზას ნელა მივყვები.

მივყვები შარას
და ფიქრები მიმყვება თანა,
სკოლის ეზოში
კვლავ ნაცნობი ხეები დგანან.

მიმოვიხედე
და ჩახახლდნენ გულში იქვები,
ვერსად ვიპოვე
ჩემი ტოლი ბოგო-ბიჭები.

იგივე ეზო,
ის ნაძვები და ის ფიჭვები,
სულ სხვა ბავშვები —
სხვა „კანჭები" და სხვა „ჭიჩქები".

მე გავიქეცი
და გავძახე გარბენილ შარას,
ამაოდ ვუხმე,
ის ბიჭები აღარსად ჩანან.

უკან დავბრუნდი,
კვლავ ის გზაა, იმ ხეთა რიგი,
შაშვის ჭახჭახი
და სიმწვანის შრიალი ირგვლივ.

წიგნი მარჯორი უორდროპზე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ პერიოდული პრესა გასული საუკუნიდან მოყოლებული მუდამ ჯეროვან ყურადღებას იჩენდა მარჯორი უორდროპის მიმართ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მაინც არ გაგვაჩნდა თუნდაც მცირემოცულობიანი ბროშურა ჩვენი ხალხისა და კულტურის ამ დიდ მეგობარზე. ამიტომაც, ფრიად მისასალმებელია, რომ გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" ამასწინათ გამოაქვეყნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძის საინტერესო მონოგრაფია „მარჯორი უორდროპი"*.

მონოგრაფიის ავტორი მიზნად ისახავს გააცოცხლოს მარჯორი უორდროპის დამსახურება ჩვენი ერის, ჩვენი კულტურის და ლიტერატურის წინაშე. საერთოდ, ერთი შეხედვით, ავტორს ზედა მასალა გააჩნია ჩვენს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების სახით, მაგრამ, ბუნებრივია, სერიოზული მონოგრაფიის ავტორისათვის ეს მასალა საკმარისი არ არის.

სარეცენზიო წიგნის ავტორს გულდასმით უნდა შეესწავლა და გაერკვია, თუ რით დაიმსახურა მარჯორი უორდროპმა ქართველი ხალხის ისეთი სიყვარული და პატივისცემა, რომ მას პირდაპირ ზარზეიმით ხვდებოდნენ ყველგან, რომ მას დიდად აფასებდნენ ილია, აკაკი და ჩვენი ეროვნული კულტურის სხვა ღირსეული წარმომადგენლები. ამ საკითხის გაურკვევლად მონოგრაფიის მკითხველი ვერაფერს მიიღებდა ახალს. ავტორი არ ცდილობს იოლ გზას დაადგეს, უთავბოლოდ მოგვაყაროს „ივერიის", „დროების" თუ სხვა პერიოდული გამოცემების ამონაწერები და ამით ადვილად გავიდეს ფონს. სარეცენზიო წიგნში არაფერია ზედმეტი. ყველაფერს თავისი ადგილი და ზომა აქვს.

თვალად და სხარტად დაწერილ შესავალში ავტორი ლაპარაკობს მთარგმნელობითი ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, როგორც საქართველოში, ისე საერთოდ. შემდეგ კი არკვევს საკითხს თუ როგორ დაებადათ ევროპელებს ინტერესი ქართული კულტურისადმი და ვის მიუძღვის ამაში ღვაწლი. მხოლოდ ამის შემდეგ ვეცნობით მარჯორი და ოლივერ უორდროპებს, მათ დამოკიდებულებას მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეებთან, მაგრამ ყველაზე ამის საფუძველი მაინც მარჯორი უორდროპის მთარგმნელობითი მოღვაწეობა იყო, რომელმაც პირველად საფუძველი ჩაუყარა ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საქმეს და ამით სოლიდური წვლილი შეიტანა საერთოდ ჩვენი ხალხების კულტურული ურთიერთობის საქმეში. მომდევნო თავებში ავტორი უშუალოდ ეხება მარჯორი უორდროპის ცალკეულ თარგმანებს („ქართული ხალხური ზღაპრები", „მეზვერის წერილები", „განდეგილი", „წმინდა ნინოს ცხოვრება", „ვეფხისტყაოსანი") ღირსება-ნაკლოვანებებს.

წიგნის ავტორის უპირველესი და უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ მან მოგვცა მარჯორი უორდროპის თარგმანების პირველი მეცნიერული ანალიზი და კონკრეტული მაგალითების საშუალებით გაგვაცნო ამ თარგმანების როგორც ისტორიული, ისე შემეცნებითი ღირებულება. ეს ორი მომენტი ხაზგასასმელია, რადგან თანამედროვე ლიტერატურის პოზიციებიდან, გულახდილად უნდა ითქვას, ნამდვილად ვერ ვილაპარაკებთ მარჯორი უორდროპის თარგმანების მხოლოდ და მხოლოდ შემეცნებით ღირებულებაზე. ამაზე პირდაპირი ლაპარაკის მაგიერ ავტორი ამჯობინებს მოკრძალებულ მაქებრობას და კრიტიკულ ანალიზს უტარებს მარჯორი უორდროპის თარგმანებს. ეს, სხვა რომ არაფერი, ავტორის პროფესიულ ოსტატობას და კეთილსინდისიერებაზე მიუთითებს.

კარგია, რომ წიგნს ერთვის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია. მონოგრაფიაში ცალკეა გამოყოფილი მარჯორი უორდროპის პირადი წერილები ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი. მკითხველი პირველად გაეცნობა ამ უდიდესად საინტერესო ისტორიულ დოკუმენტებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ წერილებს მარჯორი ისეთი გამართული ქართულით წერდა, რომ იმდროინდელმა პერიოდულმა პრესამ პირდაპირ აღტაცება გამოთქვა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკის მოგონება მარჯორიზე. აკაკის გაცნობისთანავე მოეწონა მარჯორის ქართული და როცა უთხრეს, რო წელში შეისწავლა და ისიც დამოუკიდებლად, განცვიფრდა. მაშინ მარჯორის უთქვამს „თუკი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში კაცმა ენა რომ ვერ ისწავლოს, აბდალი უნდა იყოსო". „ეს რომ თქვა — იგონებს აკაკი, — ალბათ გაიფიქრა ვგონებ სიტყვას „აბდალს" ვერ გავიგებდი და განმარტა „იდიოტისო". ცხადი მოგახსენოთ, პატივისცემა ვგრძენი არა მარტო ამ ქალისადმი, თვით იმ ხალხისაც კი, რომელსაც ამგვარი ქალები ჰყავთო".

ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძის მონოგრაფია „მარჯორი უორდროპი" საინტერესო და სერიოზული ნაშრომია, რომლის გამოქვეყნებითაც ნამდვილად კარგი საქმე გააკეთა გამომცემლობა „ლიტერატურამ და ხელოვნებამ". მაგრამ აუცილებელი იყო მისი ტირაჟი (2000), მით უმეტეს ახლა, როცა რუსთაველის დღეები მოდის და ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ჩვენი ეროვნული საამაყო სახელთან (მარჯორი უორდროპმა, ხომ პირველი სიტყვა უთხრა „ვეფხისტყაოსნის" პროზაულ თარგმანში), განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესს იმსახურებს. სარეცენზიო მონოგრაფია კი ისეთი წიგნია, რომელიც ძვირფასი საჩუქარი იქნება არა მარტო რუსთველოლოგისა და ქართველოლოგისათვის, არამედ ყველა მკითხველისათვის.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

---

* ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძე, „მარჯორი უორდროპი", გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება", 1965 წ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის დაბადების 60 წლისთავის გამო

მექის სიმღერა

ლეო ქიაჩელი

მწერალთა შორის კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკის"* შესახებ ორი აზრი არ არსებობს. ყველა აღიარებს, რომ ეს რომანი კარგი ნაწარმოებია. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი შეფასება დამყარებულია იმ ღირსებებზე, რომლებსაც ლორთქიფანიძის რომანი შეიცავს. რომანის სოციალურ-იდეური მხარე ფართოდ და კარგად დაგვიხასიათა მომხსენებელმა ამხ. ბენიტო ბუაჩიძემ. მან თქვა, რომ რომანი გამართლებულია პოლიტიკურადაც. მისი სიტყვიდან მე ის აზრიც გამოვიტანე, რომ „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" პარტიული თვალსაზრისითაც უნაკლო ნაწარმოებია. რომანის ლიტერატურულ ღირსებაზე მოკლედ, მაგრამ შესანიშნავად ილაპარაკა ამხ. მ. ჯავახიშვილმა. მე დამრჩენია მხოლოდ მოგახსენოთ ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც რომანის კითხვის დროს დამებადა და რომელზედაც, ჩემის აზრით, ღირს ყურადღების შეჩერება.

მე სიამოვნებით წავიკითხე ეს წიგნი. შთაბეჭდილება ისეთი დამრჩა, რომ ავტორი რომანის ჩვეულებრივი კომპოზიციის ხერხებს გვერდს უქცევს და სიუჟეტსაც თავისებურად აწყობს. ბევრი უთუოდ დამსახურებად ჩაუთვლის ავტორს ამ გარემოებას. მეც მივესალმები ასეთ ცდას, რომელიც რომანის შექმნის ახალ გზებს გულისხმობს. რომანს სიუჟეტის გაშლის სიმძაფრე არ ახასიათებს. ავტორის ძლიერ ოსტატობას უნდა მივაწეროთ, რომ მისი ნაწარმოები მაინც გამართლებულად ითვლება. მე დამაინტერესა რომანის ერთმა ტიპმა — მოჯამაგირე მექიმ. ეს მექი მთავარი პირია ლორთქიფანიძის პირველი წიგნისა. მთავარი დარჩება ის, ალბად, მეორე წიგნშიაც. მექი პირველად უცნაური, აპირებული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. შემდეგ მექიც და ავტორიც სტოვებენ ამ ხაზს. მე ვფიქრობ და, შესაძლებელია ეს ასეც არის, რომ ავტორს თავდაპირველად მექი ისე არ ჰყავდა წარმოდგენილი და გათვალისწინებული, როგორც ის დახატულია რომანის შემდეგ თავებში და ბოლოში. ეს ხშირად ემართება მწერალს. წერის განმავლობაში ტიპი ხშირად იცვლება, ავტორის თავდაპირველი განზრახვაც ხშირად სხვა მიმართულებას იღებს. მასალას თავისი ლოგიკა აქვს და ბუნება. — პირველად მოჯამაგირე მექი ისე წარმოდგენილი, რომ მას ბარნაბას ქალი თალიკო უყვარს. ეს სიყვარული მას ბევრს რასმე საგულისხმიეროს ჩაადენინებს. მაგრამ შემდეგ უცებ წყდება ეს ინტრიგა და სიყვარულის ამბავიც ქრება. ჩემის აზრით, ეს ამბავი არაბუნებრივად არის შეწყვეტილი. მექის სიყვარულის განვითარება უთუოდ საინტერესო იქნებოდა და რომანში შეიტანდა დრამატიულ სიცხოველეს, რაც ზედმეტი არ იქნებოდა რომანისათვის. მე ვფიქრობ, რომ აქ ავტორმა უკან დაიხია, მაგრამ არა იმ სიძნელის წინაშე, რომელიც დრამატიული ადგილების გაშლას თან ახლავს რომანში. პროლეტარული კრიტიკოსები მას უთუოდ უსაყვედურებდნენ სიყვარულის მომენტის წინ წამოწევას, ფსიქოლოგიზმში გადავარდნას და სხვა ათას ცოდვას, რასაც ასეთი ამბავი ბადებს. ჯავახიშვილი ლერძზე რომ ლაპარაკობდა, ავტორს შეეძლო ამ მომენტის ღრმად გამოყენება, რომლიდაც შეიძლებოდა დიდი სოციალური ამბების დახატვა. ბოლოსდაბოლოს, ადამიანების სულიერი განცდის მომენტების მხატვრულ ასახვას ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ. ბევრს ჰგონია, რომ ასეთი ამბები ძველია და თანამედროვე რომანისათვის გამოუსადეგარი.

მაგრამ საქმე თვითონ ამბავი როდია. საქმე მხატვრული სიღრმეა, მოვლენის ფართოდ გაშლა და მისი აყვანა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მაღალ ხარისხამდე. ბოლოსდაბოლოს ეპოქები ადამიანის სახით იცქირებიან, და სოციალური მოვლენები ადამიანის გარეშე არ არსებობენ. შესაძლებელია, მექის სიყვარულის გაგრძელებას დაეჩრდილა რომანის სოციალური მხარე. მაგრამ შესაძლებელია მას უფრო გაემძაფრებინა ეს მხარე. ეს ავტორზეა დამოკიდებული. თავისთავად სიყვარულის ინტრიგა მართლაც უმნიშვნელოა, მაგრამ თუ ის სოციალურად გავაღრმავეთ და მხატვრულად გავამძაფრეთ, მაშინ ის უბრალო ინტრიგის ხასიათს ჰკარგავს და უდიდესი ემოციების გამომწვევ ფაქტორად გვევლინება. — და მე მგონია, რომ მექის შეწყვეტილ სიყვარულს ავტორი მაინც ასე ადვილად თავს ვერ დააღწევს. მეორე წიგნში ის უთუოდ დაუბრუნდება მას, თუ შედარებით ივლი გზით სვლა არ არჩია. — მექის სიყვარულში ადამიანის ტრაგედიის ლანდები ისახებიან, რომლებსაც მწერალი ნამდვილი, დიდი ხელოვნების სათავეებთან მიჰყავთ. ჩემის აზრით, ჩვენი ავტორისა და მისი რომანის საბოლოო გამარჯვებაც აქეთკენ არის.

პირველ წიგნში კონსტანტინე ლორთქიფანიძემ შესანიშნავი მხატვრული თვალი დაგვანახა. რომანის ზოგიერთი სურათი განსაცვიფრებელია თავისი სიმკვეთრით. ამას თან ერთვის ახალი სოფლის და ადამიანების ზედმიწევნით ცოდნა. ჩანს, ავტორს ტყუილად არ დაუკარგავს დრო და თავისი ხანგრძლივი ცხოვრება სოფლად ნაყოფიერად გამოუყენებია, დიდი გამოცდილება შეუძენია. აღსანიშნავია აგრეთვე რომანის ბოლო თავები, განსაკუთრებით მექის სიმღერა. მექმა სიმღერა არ იცის. ხმაც არ აქვს. მაგრამ გამარჯვების სიხარულმა მას ხმაც მისცა და სიმღერის ნიჭიც. ეს შესანიშნავია. თუმცა მე ავტორს არ მინდა დავუჯერო, რომ მექის სიხარულს მხოლოდ „სოციალური" გამარჯვება იწვევს. მე ვგრძნობ მექის სულის „ამბავს" და მგონია, რომ მისი ასეთი სიხარულის ერთი ნაკადი მაინც გამოწვეულია შეწყვეტილი სიყვარულის განახლების იმედით. მექი ამას მალავს. ეს გასაგებია. მით უფრო მშვენიერია მისი სიმღერა. აქ მექი უაღრესად ადამიანურია. რატომ მალავს ამას ავტორი? განა მექის დაავიწყდებოდა ის უსათუთესი გრძნობა, რომელიც მას ადამიანობასთან ერთად შეულახეს და შეუგინეს? მაგრამ შეიძლება ავტორს უფრო ბეჯითი მოსაზრება ჰქონდა, როცა მექის სიხარულში ეს ადამიანური ნაკადი არ გაურია და არ გაამხილა. ყოველ შემთხვევაში, უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ მექის სიხარული — დიდი გამარჯვებაა ავტორის, როგორც მხატვრის. მე მას ვულოცავ ამ გამარჯვებას.

---

* წერილი წარმოადგენს 1934 წელს კ. ლორთქიფანიძის რომანის „ძირს სიმინდის რესპუბლიკას" („კოლხეთის ცისკრის" პირველი წიგნის) საჯარო განხილვის დროს წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც პირველად იბეჭდება.

მაღალი ზნეობრივი იდეალის მღერალი

შალვა აფხაიძე

თანამედროვე პროზის გამოჩენილი წარმომადგენელი კონსტანტინე ლორთქიფანიძე ქართულ ლიტერატურაში ლექსებით შემოვიდა. მან ერთბაშად მიიპყრო მკითხველის ყურადღება როგორც მხატვრული სიტყვის დაუცხრომელმა ოსტატმა. ყურადღება მიიპყრო ახალი თემატიკით, თავისი შემოქმედების ცენტრში მეტად აქტუალური სადღეისო საკითხების დაყენებით. თავისი ლექსების კრებულს მალე გვერდში ამოუდგა მოთხრობების წიგნები „ფოტოგრაფი", „პირველი დედა", „მავანი" და სხვ.

კ. ლორთქიფანიძის პირველ ფუნდამენტურ ნაწარმოებს, რომელმაც სახელი გაუთქვა და მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატთა რიგებში ჩააყენა, არის რომანი „კოლხეთის ცისკარი". აღნიშნულმა რომანმა სახელი გაუთქვა ქართულ საბჭოთა რეალისტურ ლიტერატურას. როგორც ცნობილია, „კოლხეთის ცისკარი" თარგმნილი და გამოცემულია საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოურ ენებზე.

დასახელებული რომანის ასეთი პოპულარობის მიზეზი მხოლოდ მისი თემის აქტუალობა, სიახლე, თუ გნებავთ, სიმწვავე და ეთიკურ-შემეცნებითი მნიშვნელობა კი არ არის, არამედ მაღალი მხატვრული დონეც, მდიდარი გამომსახველობითი საშუალებანი, ავტორის ხატოვანი, [illegible], ხალხური სამეტყველო ენა, მეტაფორული თქმანი, ლაკონიური ფრაზა, მოქნილი, სილაღით სავსე სიტყვა, დახვეწილი გამოხატვა და ის უტყუარი, შეუმცდარი თვალი, რომელსაც მოვლენათა შორის მთავარი არ გამოეპარება.

კონსტ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის" მხატვრულ ღირებულებას ზრდის ის გარემოება, რომ ამ რომანში პირველად აისახა ბრძოლა სოფლად საკოლმეურნეო წყობილების დამყარებისათვის, აისახა ისეთი მხატვრული ძალითა და პათოსით, რომ რომანი ქართულ საბჭოთა მხატვრულ ქმნილებათა პირველ რიგებში დააყენა. ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაზე დროულად გამოხმაურებას, ამ მოვლენის დროზე მხატვრულ ფიქსირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მკითხველს შეუძლია აღნიშნული რომანის მიხედვით ცოცხლად აღიდგინოს ამ წლების დრამატიზმით სავსე სურათები, როცა ჩვენს სასოფლო მეურნეობაში მიმდინარე რევოლუცია [illegible]. ავტორმა ხალხის მაჯისცემა გრძნობა გამოიჩინა, დაინახა და მხატვრული სისრულით დაგვიხატა სოფლად მიმდინარე ცვლილებანი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების აუცილებლობა. მან შეულამაზებლად, ობიექტური მიდგომით აღგვიწერა შინაგანი წინააღმდეგობებითა და სირთულით აღსავსე სინამდვილე და შექმნა მთელი რიგი ტიპიური მხატვრული სახეები, რომლებიც ღრმად აღიბეჭდნენ მკითხველის ხსოვნაში. ამ სახეების საშუალებით შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური ცვლილებანი. საქმე ისაა, რომ ავტორი მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს ასახავს მთელი თავისი სირთულით, წინააღმდეგობებით. მწერალი კი არ გაურბის, არამედ გაბედულად გვიხატავს იმ სიძნელეებს, რომლებიც წინ აღუდგნენ პარტიას სოფლის მასების სოციალისტურ გარდაქმნაზე ბრძოლაში, სოფლად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაზე სოფლის ბოროტებასა და ღარიბ გლეხობას შორის. ყველა ეს მოვლენა მწერალს თავის შესანიშნავ რომანში მხატვრული ზომიერებით აქვს ასახული.

კ. ლორთქიფანიძე უტყუარი მხატვრული ალღოთი ხატავს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა ფსიქოლოგიურ სურათებს. რომანის მთავარი გმირები მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდუალური და, ამავე დროს, მხატვრულად განზოგადებული სახეებია. მწერალი მშვენივრად იცნობს ქვემოიმერეთის სოფელს, მის ყოფას, გარემოს, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს. რომანის დიდი მხატვრული ღირსება ისაა, რომ მისი პერსონაჟები გამოირჩევიან მათთვის ნიშანდობლივი ხასიათებით, სულიერი ცხოვრებით. ამ ხასიათების შინაგანი წინააღმდეგობანი, კონფლიქტები ქმნიან ვითარებას, რომლის ფონზეც მოქმედება დინამიკურად იშლება.

ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: რომანის გმირების ხასიათები თანდათან ვითარდებიან, ფრთებს შლიან თვით საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლასთან ერთად. შეიძლება მხოლოდ ტარასი ხარაძე იყოს ისეთი სახე, რომლის ხასიათი უკვე წინასწარ სავსებით ჩამოყალიბებული ჩანს. მას გარკვეული მიზანდასახულება ამოძრავებს — ჩაატაროს კოლექტივიზაცია თავის სოფელში და არტელში გააერთიანოს ღარიბი და საშუალო გლეხობა, დანარჩენი მოქმედი პირების ხასიათები შეუჩერებელ განვითარების პროცესში იმყოფებიან. ასეთია, მაგალითად, ცოცხლად დახატული მექი ჯაშაიძის სახე. მუდამ დაჩაგრული, დაბეჩავებულ მდგომარეობიდან კოლმეურნეობამ იგი ცხოვრების ზედაპირზე ამოიყვანა, წელში გამართა და საზოგადოების შვილად, აქტიური წევრი გახადა; ასეთია მარგველაძე, რომელიც არ შედიოდა არტელში და თავდაპირველად გარეშე მაყურებლის როლი აირჩია, შემდეგ თვალნათლივ დაინახა ახალი ცხოვრების სიმართლე და საკოლმეურნეო მოძრაობას მიემხრო; კომკავშირის უჯრედის მდივანი ბაჩუა ვარდოსანიძე. ამ მოწინავე კომკავშირელმაც თავიდანვე ვერ გადაწყვიტა კოლმეურნეობაში შესვლა: ძველი ოჯახის ტრადიციები უკან ეწეოდა, ხელს უშლიდა გაბედული ნაბიჯის გადადგმაში. კოლმეურნეობის ამგვარი უპირატესობა მის ფსიქოლოგიაშიც სრულ გარდატეხას იწვევს. ცოცხალი, სინამდვილიდან აღებულია მდიდარი გლეხის ბარნაბა საკანდელიძის სახე, რომელიც ბრძოლის ხერხებს იმისდამიხედვით ცვლის, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება არტელის ჩამოყალიბების საქმე. ასევე მართალი და ცხოვრებისეულია რომანის ნეგატიური პერსონაჟები: დახეტიალა — ცხოვრების მიერ გათელილი, დაკნინებული და გაიძვერებული ადამიანი, ერემო პირტახია, სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე, ცხოვრების მიერ დრომოჭმული [illegible] და სხვ.

ავტორი ხშირად იყენებს ხალხური სიბრძნის გამომხატველ ანდაზებს, მოსწრებულ თქმებს. მწერალს უყვარს გარემო, რომელშიც მისი რომანის გმირები მოქმედებენ, ბროწეულის ყვავილებით განათებული ქვეყნები და ორღობეები. სიყვარულით და პოეტური ალღოთი არის აღწერილი რომანში სოფლის პეიზაჟი, მწერლის სტილი მეტად დახვეწილი და გამჭვირვალეა, ენა მოქნილი. საკოლმეურნეო მოძრაობის თემაზე მრავალი მხატვრული ნაწარმოები დაიწერა, მაგრამ დღეს ზოგიერთი მათგანი მკითხველის მეხსიერებიდან წაშლილია, „კოლხეთის ცისკარი" კი — ცოცხლობს და ყოველთვის იცოცხლებს.

მას შემდეგ კარგმა დრომ გაიარა. მოვიდნენ ახალი თაობები, რომლებიც არ შესწრებიან სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის წარმოუდგენელ მეტად მწვავე და მძაფრ ბრძოლებს, არ ყოფილან მომსწრენი ოცდაათიანი წლების ისტორიისა. მათ მთელი ეს ეპოქა შეუძლიათ შეისწავლონ აღნიშნული რომანით. ამიტომ გადაიქცა „კოლხეთის ცისკარი" ჩვენი ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის აუცილებელ წიგნად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ყოველ ახალ ნაწარმოებს ემჩნევა, თუ რა დაძაბულ ბრძოლას ეწევა ავტორი სიტყვასთან, რათა უკანასკნელმა მხატვრული ძალა შეიძინოს. ჩვენ ვიცით, რომ ლორთქიფანიძემ მწერლობა ლექსებით დაიწყო, ამავე დროს მას აქვს საუკეთესო პოეტური თარგმანები. შეიძლება ამითაც აიხსნებოდეს მისი მოთხრობების სტილის პოეტურობა, ის შინაგანი ენერგიული რიტმი, რომლითაც ეს მოთხრობები გამოირჩევა.

იქნებ სუბიექტური ვიყო (ეს შესაძლებელია) კონსტ. ლორთქიფანიძის ნოველების შეფასებისას, მათი მხატვრული ფორმის აღქმისას, მაგრამ მინდა გულწრფელად ვაღიარო: მე ეს ნოველები უფრო სხვა სიყვარულით მიყვარს და სხვა ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებენ. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ცხადია, ნოველების მაღალი მხატვრული ღირებულება. მე მიზიდავს მათი ზნეობრივი ძალა, მოქალაქეობრივი პათოსი, შინაგანი დრამატიზმი და სულიერი დაძაბულობა, რომლითაც ამ ნოველების გმირები გამოირჩევიან. მწერლის შთაგონების ობიექტს წარმოადგენს არა ჩვენი სინამდვილის, ასე ვთქვათ, წვრილმანი, არამედ გადამწყვეტი, სულისშემძვრელი მოვლენები. თუ თავის ცნობილ რომანს საფუძვლად დაუდო ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, მისი ნოველების უმრავლესობის მოქმედება იშლება ან სამოქალაქო, ან დიდი სამამულო ომის ფონზე.

სამამულო ომი — ეს იყო საბჭოთა ადამიანის მორალური გამოცდა. ამ ომმა ნათლად აჩვენა ჩვენი ხალხის ზნეობრივი ძალა, მისი მონოლითურობა, მისი პატრიოტიზმი. რომ უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა მწერალს საბჭოთა ადამიანის მომხიბლავი თვისებები, მან სამამულო ომის მეტად მკაცრ წლებს მიმართა და თავისი ნოველები მძაფრი სულიერი დრამატიზმით შეკრა, შეადუღაბა. საგულისხმოა, რომ მისი ნოველების გმირების უმრავლესობა მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას იღუპება. მგონი მხოლოდ ერთი ნოველა „ცაბუნი", რომლის მთავარი გმირი პატარა ცაბუნა განაგრძობს სიცოცხლეს იმ იმედით, რომ მამამისი სამამულო ომიდან დაბრუნდება. ავტორმა ამ პატარა მოთხრობაში სამამულო ომის საშინელება, მისი გამანადგურებელი ძალა გვიჩვენა. ისეთი სიყვარულით აქვს დახატული მწერალს ეს სუსტი, სულიერად შეძრწუნებული გოგონა, რომ მოთხრობის აუღელვებლად წაკითხვა შეუძლებელია. მკითხველი ხედავს პატარა ცაბუნას, რომელსაც თეთრი ლაბადა (ავტორი მას თეთრ ბატს ადარებს) მოეხურა, მამის ნაჭრობ ცხვირიან კალოშებში ფეხები ჩაუდვამს და სისხამ დილაზე სადგურისაკენ მიიჩქარის, იმ იმედით, რომ იქ ჩამოსულ თუ ჩამოყვანილ მამას ნახავს. ავტორმა უზომო სითბო ჩაღვარა მოთხრობაში და თითქოს მთელი სამამულო ომის მძიმე წლები გააცოცხლა.

კონსტ. ლორთქიფანიძის მოთხრობების გმირების სულიერი ცხოვრება მეტად მდიდარი და ღრმა შინაარსისაა. ისინი მოქალაქეობრივ მოვალეობას პირად სიამოვნებაზე მაღლა აყენებენ. სიამოვნებას და ბედნიერებას ამ გმირებს მშობლიური ქვეყნის წინაშე მოვალეობის შესრულება ანიჭებს მხოლოდ. ამ მოვალეობის შესრულებისას იღუპებიან, მაგრამ როდი კვდებიან. ისინი გმირულად იღუპებიან და სწორედ ამ სიკვდილში უკვდავების შუქით ხვდებიან გაბრწყინებულნი. ეს ადამიანები სწორედ გმირულ სიკვდილში აღწევენ უკვდავებას.

კონსტ. ლორთქიფანიძემ მაშინ დაიმკვიდრა შესანიშნავი ნოველისტის სახელი, როცა ბელორუსული მოთხრობები გამოაქვეყნა. ამ ციკლს ეკუთვნის „ფუნდუკში", „ცხენი", „უკვდავება", „ოცი ცხენი". სხვებისა რა მოგახსენოთ და პირადად ჩემთვის სიამოვნებით გადამიკითხავს რამდენჯერმე ეს ნოველები და ყოველთვის რაღაც ახალი დამინახავს მათში. მე მხიბლავს ის ლირიკული ნაკადი, რომელიც მათშია შეჭრილი, მხიბლავს ავტორის შემოქმედებითი გააზრება სინამდვილისა. მისი თვალი ხედავს და შესატყვისი სადებავებით აღგვიწერს ბელორუსულ სოფლის ტრაგედიას, სადაც აღარ ჯდებიან ბიჭები არიან, აღარ სიმღერა და სიცილი ისმის და სიყვარულის და ოჯახისათვის შექმნილი ღამეც არ არის განათებული მთვარით. ეს სიყვარული და იმედები ხალხის კეთილდღეობაზე აგებს ყოველ მოთხრობას. მწერალი ძალდაუტანებლად გვიცნობს იმ კონტრასტს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცის და სამამულო ომის ჯარისკაცის სულისკვეთებას შორის არსებობდა. თუ იმპერიალისტური ომის ჯარისკაცი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ფრონტს გაექცეს, თავი დააღწიოს მას, საბჭოთა ჯარისკაცი, პირიქით, დაჭრილიც და დაუძლურებულიც ფრონტისაკენ მიისწრაფვის.

კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს მიხეილ რუხლის სახეს. მასში კონცენტრირებულია მთელი ბელორუსი ხალხის რწმენა მომავლისა, მისი ზნეობრივი იდეალი, უანგარობა, სულიერი სილაღე, სულიერი მხნეობა. დანარჩენი ბელორუსული ნოველებიც — „მაისის დილა", „ცისფერი დრანი", „ჯარისკაცი", „ცხენი", „ოცი ცხენი", რომანი „ნატვრის თვალი" და სხვები, აგრეთვე დიდის შესატყვისი გმირული სულით არის გაჟღენთილი. ამ ნოველებსაც იგივე მაღალი მორალური საწყისი, ნამდვილი პატრიოტული და ჰუმანური იდეალები უდევს საფუძვლად.

არ შეიძლება ცალკე ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიო ნოველა: „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური". უკანასკნელის კითხვა ყოველთვის რაღაც სულიერ სიმხნევეს მანიჭებს, მარწმუნებს, რომ ადამიანი ასეთი მაღალი ზნეობრივი იდეალის მატარებელია. მხედველობაში მყავს კოლმეურნე ვასილ ფოკა, რომელმაც თავი სამხედრო ნაღმზე მიიტანა, თავი გასწირა იმ მიზნით, რომ საბჭოთა მზვერავი გადაერჩინა. მწერალი გვიხატავს ამ მოხუცის საოცარ ნებისყოფას, თავდადებას, მორალურ სიფაქიზეს და პატრიოტულ შემართებას. კონსტ. ლორთქიფანიძის მოთხრობებში, საერთოდ, საბჭოთა ადამიანის მთელი ზნეობრივი კოდექსია მოცემული.

კონსტ. ლორთქიფანიძემ შემოქმედების სახელოვანი გზა განვლო. იგი მართებულად აღიარებულია ქართული მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატად, ამ სიტყვის თავდადებულ დამცველად. მწერალი სამოცი წლისაა. იგი აღჭურვილია საჭირო შემოქმედებითი გამოცდილებით, ენერგიით, საოცარი პასუხისმგებლობით მშობლიური ლიტერატურის წინაშე, შემოქმედებითი საკითხებისადმი პრინციპული მიდგომით, გაბედული პირდაპირობით. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველ მკითხველს კიდევ მრავალ ესთეტიკურ კმაყოფილებას მიანიჭებს ისეთი ახალი ნაწარმოებების შექმნით, როგორიც მის მადლიან კალამს შეჰფერის.

მუდამ მშობელ ხალხთან ერთად

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სამოც წელს გადააბიჯა, მაგრამ თავისი შემოქმედებით მაინც ახალგაზრდაა და უბერებელი. იგი არის ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართული საბჭოთა მწერლობისა, დაუღალავი და ერთგული მსახური ქართული სიტყვისა, რომელსაც ორმოცი წელიწადია სიყვარულით თავს ევლება და იბრძვის მისი გამდიდრებისათვის.

შრომასა და ბრძოლაში ლორთქიფანიძე მუდამ თავის მშობელ ხალხთან ერთად იყო, არაჩვეულებრივი ერთგულებით იბრძოდა ახალი საქართველოს მშენებელთა პირველ რიგებში და დღესაც იგივე ბასრია მისი დაუჩლუნგებელი კალამი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში, ხოლო, როგორც საზოგადო მოღვაწემ, დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. საქართველოს ფარგლებს გარეთ, რუსეთსა და მოძმე რესპუბლიკებში, აგრეთვე საზღვარგარეთაც ბევრი ჰყავს მას მკითხველი და დამფასებელი. მის რომანებსა და მოთხრობებს შეუნელებელი ინტერესით კითხულობენ მრავალ ენაზე. ეს თავისთავად მოწმობს მწერლის პოპულარობასა და ხალხურობას. მწერლის აღმავლობაზე მეტყველებს მისი ახალი რომანი „ნატვრისთვალი" და უკანასკნელი პერიოდის მოთხრობები, რომლებიც, ჩემის აზრით, მიეკუთვნებიან ქართული ბელეტრისტიკის საუკეთესო ნიმუშებს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძისაგან კიდევ ბევრ ახალ შესანიშნავ წიგნს მოელის მადლიერი ქართველი მკითხველი. ამის საწინდარია მისი მაღალი ნიჭი და ენერგია, რომლითაც იგი უხვად არის ბუნებისაგან დაჯილდოებული.

რევაზ მარგიანი

ღვაწლმოსილი შემოქმედის ღიმილი

ჩემს საყვარელ მწერალსა და მეგობარს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს სამოცი წელი შეუსრულდა! იგი ამ დღეს საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ხვდება. ქართული სიტყვის დიდოსტატის წიგნებმა მრავალ ენაზე მრავალჯერ თარგმნილმა და გამოცემულმა — უკვე საერთო აღიარება მოიპოვეს.

ვისაც ჩვენი კონსტანტინეს ბრძოლისა და გამარჯვების წლები თვალის ერთი გადავლებით სურს წარმოიდგინოს — მისთვის საკმაოა „კოლხეთის ცისკრის" წიგნებად დაბეჭდილ ვარიანტებს გადახედოს, — იგი ოცდაათი წლის განმავლობაში იწერებოდა, იცვლებოდა, მშვენდებოდა და იღებდა იმ სახეს, რომელიც დღეს უკვე დიდი მასშტაბისაა და მხატვრულად სრულყოფილი. ეს რომანი მაჩვენებელია არა მხოლოდ ქართული სოფლის ბრძოლის, სიახლისა და გამარჯვებისა, იგი მწერლის სიჭაბუკესაც ისევე თვალსაჩინოს ხდის, როგორც მის დიდებულ დაოსტატებას.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მხატვრული სიტყვის მოყვარული მკითხველი, ყოველ წელს ხელში შეჰყურებს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს და მისგან ახალ წიგნს მოითხოვს, მისი სჯერა. მწერლის მამობის უკეთესი შეფასება მე ახლა ვერც კი წარმომიდგენია! და მეც, მისი პირველი წლებისა და ბოლო წლების მეგობარს, ეს მახარებს!

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელია. დრო იყო, როდესაც დეკადენტური ლიტერატურის ზეგავლენით, ჩვენს ახალ ყოფას ბელეტრისტი თითქმის არ ჰყავდა, სიმბოლისტები და ფუტურისტები პრინციპულად უარყოფდნენ მას, ხოლო ჩვენი ძველი ოსტატები ევროპ წოდებული „დისტანციის" თეორიის მომხრენი იყვნენ, იმ წლებში, ახალგაზრდა პოეტმა კ. ლორთქიფანიძემ გაბედა სიძნელეს შეჭიდებოდა და ოციანი წლების დასაწყისი სამოციანი წლების გამარჯვებამდე მიიყვანა.

კონსტანტინეს პირველ წიგნს „ღიმილი" ერქვა, მე კვლავაც ვუსურვებ ღიმილით შეხვდეს მომავალს, იმ ღიმილით, — თავაუღებელი შრომის შემდგომ, ღვაწლმოსილ შემოქმედის სახეს მუდამ რომ შვენის!..

კარლო კალაძე

[illegible]

[illegible]

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

წვიმამ ლაპარაკი არ დაგვაცალა. ისეთი თქეში წამოვიდა, სიგარეტი ხელში ვერ დავმალე, ერთი ცერისოდენა წვეთი მაინც მოხვდა და თუთუნი ხელში ამიზილა.

თავიდან ფეხამდე მოსასხამებში გავეხვიეთ და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

დაღამდა,

ბევრი ვიწვალეთ, სანამ ვიწრო ბონდზე გავიდოდით. ბნელში ტალღები არა ჩანდნენ, მხოლოდ მხეფები გვცემდა პირისახეზე.

კოლიამ სთქვა:

— დღეში ორჯერ გავდივარ ამ ბეწვის ხიდზე, მაინც ვერ დავიმახსოვრე, რა ადგილას არის ჩელტი ჩამტვრეული. აბა ერთი მუმლაძესა ჰკითხე, ზეპირად გეტყვის ყველაფერს.

„ეტყობა, მართლა ვარგა ის ბიჭი!" — გავიფიქრე.

გაღმა რომ გავედით, წინ სადღაც შენიღბული სინათლის მკრთალი ლურჯი ზოლი შეირხა, სველი მინდორი შემოირბინა და გაუჩინარდა.

— მივედით, — სთქვა კოლიამ და გზიდან გადაუხვია.

ახლო-მახლო კაცის ბაიბური არ ისმოდა, მხოლოდ ის ლურჯი ზოლი ისევ დაფათურობდა მინდორში და ისევ წვიმდა გადაუღებლად.

დრო და დრო მდინარის მხრიდან ქარი წამოუქროლებდა და სველ ფოთოლს თავპირში შეგვაყრიდა.

— ცოტა ხანს აქ მომიცადე. ცუდი ჩასასვლელია, — სთქვა კოლიამ და წვიმაში სადღაც გაქრა. მერე კარმა გაიჭრიალა, კოლიამ ნავთის ფარანი მომაშუქა, სრიალა ფერდობზე ჩამიძღვა და მიწურში შემიყვანა.

მოსასხამი მოვიხადე. კოლიამ სკამი მომაწოდა, დაბრძანდიო. მერე საველე ტელეფონის აპარატს მიუჯდა. სანამ გააგონებდნენ, სახელურს კარგახანს ატრიალებდა. მუმლაძე მოვიდესო, უთხრა ვიღაცას.

მივიხედ-მოვიხედე. აქ დაბრძანება და დასვენება მართლაც რომ შეიძლებოდა. მიწურის პირობაზე კოლიას სადგომს დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ორი სკამლოგინი, ქვეშაგებით გაწყობილი, მაგიდა, სკამები. კედლის თაროზე პატარა სარკე, სამართებელი, საპონი, ფუნჯი. თუ გინდა, დაჯექი აგერ და მთელი კვირის ჯაგარი ხელდახელ მოიშორე.

სადღაც კუთხეში მგონი თუნუქის ღუმელსაც მოვატანე თვალი. მაღლა რომ ავიხედე, ისეთი კოჭები დავინახე, ერთმანეთზე ორმაგად დაწყობილი, უკეთესი ნუ გინდა. ეს მიწური „ჩოხის ქილებს" კი არა, ქვეყნის დაქცევას გაუძლებდა.

გერმანელები დღე და ღამე თავზე გვაყრიდნენ ერთი ციცქნა გრანატებს, — ისინი ბატიბუტივით ფეთქდებოდნენ ხან აქ, ხან იქ. მხოლოდ მტრისას, ვინც იმას გადააწყდებოდა. ჩოხის ქილის ოდენა იყო, ძალა კი მხეცისა ჰქონდა.

კოლიამ შემატყო, რომ მისმა ბინამ თვალი მომტაცა და ჩუმად ჩაიცინა.

— ამ ერთში მაინც გამომადგნენ ეს ძაღლიშვილები! რაც აქედან მოუსვეს, ცოტა კაცურად მძა-ნავს, ხან აი ასეთ მორთულ ბინას დამახვედრებენ, ხან კიდევ იმისთანა წითელ ბორდოს დამიტოვებენ, დასალევად არ მემეტება! ერთხელ პატეფონიც არ დაიშურეს, აქაო და ჩემო კოლია, მაგ ღვინოს კარგი სიმღერაც მოუხდებაო. ერთი სიტყვით, ხომ ატყობ, ამ სოფლებში გამოზამთრებას აპირებდნენ. მაგრამ...

კართან ვიღაცამ ჩაახველა.

— შემოდი! — გასძახა კოლიამ.

შემოვიდა მაღალი ტანის ბიჭი. შემოსვლისთანავე კოლიას გამოეჭიმა და ოდნავ ხრინწიანი ხმით მოახსენა, უფროსი სერჟანტი გიორგი მუმლაძე გეახლათო.

— გამარჯობა, — უთხრა კოლიამ, — წავიდნენ თუ წვიმის გადაღებას უცდიან?

— მე მიცდიან, — მიუგო მუმლაძემ.

თვალი ძლივს მოვატანე, ისე ჩუმად ჩაიცინა კოლიამ.

— შენ დარჩი გიორგი. აგერ გაზეთიდან კაცი მოვიდა, შენთან ლაპარაკი უნდა.

— როგორც თქვენ მიბრძანებთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — მიუგო მუმლაძემ.

— რომ არ გიბრძანო და მხოლოდ მეგობრულად გთხოვო? — ჰკითხა კოლიამ.

— მაშინ მეც მეგობრულად ვეტყოდი ამ ამხანაგს, ლაპარაკის ხასიათზე არა ვარ მეთქი! — წარბშეუხრელად მიუგო მუმლაძემ.

— კარგი, — ამოიოხრა კოლიამ. — ბრძანებად ჩათვალე, რაც გითხარი. — მერე ჩემსკენ მოტრიალდა: — წავალ, ბიჭებს გავისტუმრებ და მალე დავბრუნდები. მანამდე კი მასპინძელი შენ იყავი, გიორგი. ცხელი ჩაი თუ გინდათ, ყველაფერი მანდ არის!

წავიდა.

მუმლაძესთან მარტო რომ დავრჩი, ცოტა ნირი წამიხდა და კარგახანს ხმა ვერ ამოვიღე.

ჯარისკაცებთან გამოლაპარაკება და საერთო ენის გამონახვა არასდროს არ მიჭირდა, საუბრის სათავეს ხელად მივაგნებდი და რაგინდ ენადაჭერილი კაციც არ შემხვედროდა, ბოლოს მაინც ავალაპარაკებდი.

ახლა კი, ამ ორი კაცის საუბარს რომ დავესწარი, ეს მუმლაძე ცოტა სხვანაირ ბიჭად მომეჩვენა და პირველი სიტყვა საძებარი გამიხდა.

არა და, ასე ერთი შეხედვით, მუმლაძე ძალიან მომეწონა. უპირველეს ყოვლისა, თვალში მეცა მისი მხედრული აღნაგობა. ბეჭები რომ შეარხია და მეთაურს გამოეჭიმა, ერთ კაცად მარტო ეს ღირდა.

მწევარივით ბიჭი იყო, ტანხმელი და ძარღვიანი. ჩვენში სწორედ ამისთანა ბიჭზე იტყოდნენ, ერთი ფეხი რომ დაჰკრას, პავლია ჩიხლაძის ღობეს გადაახტებაო. პავლია ჩიხლაძის ღობე-ყორე ყველაზე მაღალი იყო სოფელში. გზაზე ცხენიანი კაცი რომ ჩაივლიდა, პავლიას ეზოდან მარტო მისი ჩაბალახი გამოჩნდებოდა.

გიორგი მუმლაძე უფრო კი იმიტომ მომეწონა, რომ მისი ქცევა და სიტყვა-პასუხი მოკლებული იყო იმ შემბორკავ სალტეებს, რაც მუდამ თან ახლავს ჯარში დაწესებულ უფროს-უმცროსობას.

მუმლაძეს თავისუფლად ეჭირა თავი, ამავე დროს მისი ეს თავისუფლება სავსე იყო კაცური ღირსებით, უფროსისადმი პატივისცემით და არა იმ საძაგელი შინაურულობითა და ძმა-ბიჭობით, უფროსთან შეთამამებულ ხელქვეითს რომ ახასიათებს.

— იქნებ მართლა ჩაი გნებავთ? — მკითხა მუმლაძემ, თუმცა ეტყობოდა, მაინცა და მაინც არც მასპინძლობის გუნებაზე იყო.

— კი დავლევდი ერთ ჭიქას, — ვთქვი მე.

მუმლაძემ თოფი კუთხეში მიაყუდა, სველი ქუდი მუხლისთავზე დაიბერტყა და ღუმელთან აფუსფუსდა.

— მაშ თქვენ კორესპონდენტი ხართ? — მკითხა მან.

— ჰო, გაზეთში ვმუშაობ!

— უცნაური ხალხი ყოფილხართ ეს კორესპონდენტები! — სთქვა მან და ისე ამხედ-დამხედა, თითქოს ახლაღა დამინახაო. — ან არ იცით, რა არის ომი, ან კიდევ გინდათ, რომ წამკითხველს თვალები აუჭრელოთ!

— მაინც რას გვიწუნებ, ჩემო გიორგი? — ეს „ჩემო" ცოტა გამიჭირდა, მაგრამ კაცის გულთან მოკლე ბილიკს ვეძებდი და უკან აღარ მოვიხედე.

— წაიკითხე დღევანდელი გაზეთი?

— მთელი დღე გზაში ვარ, ვერ მოვასწარი! — ვუთხარი მე, თუმცა მოსასწრები რა მქონდა, ნახევარი გაზეთი ჩემი დაწერილი იყო.

მუმლაძემ უბეში ხელი გაიყო და ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო.

— აბა უყურე, რასა წერს! „ჩვენი ბიჭები ვეფხვებივით ჩაუხტნენ სანგრებში გერმანელებს და ხელჩართულ ბრძოლაში მრავალი ათეული ფაშისტი გაჟლიტეს. მარტო ერთმა მებრძოლმა ანდრო ჩიქვინიძემ ჩვიდმეტი გერმანელი გამოასალმა წუთისოფელს"... ჩვიდმეტი გერმანელი... ვიწრო სანგარში! ერთმა კაცმა, ისიც ხელჩართულში! ეს რომ ასე იყოს, პატივცემულო უფროსო, მაშინ ამ არამზადებს აქ რა მოიყვანდა, ჩვენი სახლის ყურის ძირში?!

— მაშ, თქვენი აზრით...

— არა, მოიცათ, — შემაწყვეტინა მან, — თქვენ სხვანაირად არ გამიგოთ! ჩვიდმეტი კი არა, მე ვიცი ერთი მეტყვიამფრქვევე, ორჯერ და სამჯერ ჩვიდმეტიც რომ დაუწვენია! მაგრამ ეგრე კი არა, აქ რომ სწერია! კაცო, იმ ვიწრო სანგარში ან მოტრიალება არ გინდოდა ან ავტომატის ხმარება, ან გრანატის მოქნევა! ეს ჩვიდმეტი კაცი ხელფეხშეკრული ხომ არ ეყარა მიწაზე!

(დასასრული მე-4 გვ.)

---

* ნაწყვეტი მოთხრობიდან, სრულად იბეჭდება ჟურნალ „დროშის" № 11-ში.

მილოცვები

ძვირფასო კონსტანტინე ალექსანდრეს ძევ!

სსრ კავშირის მწერალთა კავშირი მოგილოცავთ დაბადების სამოცი წლისთავს. თქვენ ხართ ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი სახელოვანი ფუძემდებელი.

„განსაცდელში ჩავარდნილი ვაჟკაცი გინახავს? მაშ რა გინახავს უფრო ლამაზი ამ ქვეყანაზე?!" — ასეთი ეპიგრაფი წაუმძღვარეთ თქვენ თქვენს მოთხრობას „უსახელო მაღლობზე". ჩვენ გვახსოვს თქვენი მეორე მოთხრობის — „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური" ეპიგრაფიც: „ხანჯალი თუნდაც ხისა იყოს, ოღონდ გული იყოს რკინისა". ჩვენ ამ ორ ეპიგრაფს წავუმძღვარებდით მთელ თქვენს შემოქმედებას, რომელიც უმღერის ვაჟკაცობასა და სიმტკიცეს რევოლუციის იდეებისათვის ბრძოლაში.

თქვენ ლიტერატურაში მოხვედით როგორც ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეების გამომხატველი, როგორც აქტიური მებრძოლი. თქვენი რომანი „კოლხეთის ცისკარი" იყო საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი დიდი ნაწარმოები, რომელიც ასახავს საქართველოში საკოლმეურნეო წყობის ჩასახვასა და განვითარებას.

ცხოვრობთ რა საქართველოს ძველისძველ და მშვენიერ დედაქალაქში — მცხეთაში, ქართული ეროვნული გენიის ძეგლთა და სოციალისტური თანამედროვეობის მშენებლობათა შორის, თქვენ თქვენი შემოქმედებითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით ემსახურებით ჩვენს დღეებს.

მცხეთის ქუჩებში ხშირად შეიძლება შეხვდეთ ახალგაზრდული სახისა და ვაჟკაცური აღნაგობის კაცს. ძნელია დაიჯეროთ, რომ ამ კაცს სამოცი წელი შეუსრულდა.

დაუღალავია თქვენი შემოქმედებითი ძიება, დაუშრეტელია ენერგია, რომელსაც თქვენ ახალი წარმატებებისაკენ მიჰყავხართ.

ძვირფასო კონსტანტინე ალექსანდრეს ძევ, გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს, შეურყეველ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით სიხარულსა და ჩანაფიქრთა აღსრულებას!

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნო

* * *

ჩვენო ძვირფასო ძმაო კონსტანტინე, გულითადად გილოცავთ თქვენ, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს დაბადების სამოცი წლისთავს. მაღალი პოეზიის ოქროს ვერძის დაუღალავ მაძიებელს მთელი გულით გისურვებთ ახალ დიდებულ გამარჯვებებს, მრავალი წლის სიცოცხლეს, ოპტიმიზმს, მხნეობას. გვიყვარხართ, გეხვევით.

ო. გონჩარი, ი. ხმოლინი, ი. ზბანაცკი, ვ. კოზაჩენკო, ლ. დმიტერკო, ვ. სობკო, პ. ვორონკო, პ. ზაგრებელნი.

* * *

სულითა და გულით გილოცავთ სახელოვან იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ძმური სალამით

მიხას ლინკოვი

* * *

ძვირფასო კონსტანტინე! მიიღე ჩვენი დაგვიანებული, მაგრამ მხურვალე მილოცვა. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას შენ და შენს მეგობარ მერის. სიყვარულით

ნინა და მიკოლა ბაჟანები

* * *

ჩემო ფრონტელო მეგობარო, მიიღე გულითადი მილოცვა. გისურვებ ჯანმრთელობის ზღვას, პოეტური წიგნების მთას. გეხვევი.

ევგენი პოპოვკინი,
ჟურნალ „მოსკვას" მთავარი რედაქტორი.

* * *

ძვირფასო კონსტანტინე! „ლიტერატურნაია გაზეტას" სარედაქციო კოლეგია და კოლექტივი მხურვალედ გილოცავს სახელოვან სამოცი წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

ა. ჩაკოვსკი, ი. სუროვცევი

დ. ჭონქაძის ბიოგრაფიისათვის

დ. ჭონქაძის პირველი ბიოგრაფი ფ. მახარაძე („ბიოგრაფიაში „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო") წერდა, რომ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არავითარი დოკუმენტი არ მოიპოვება. ამ საქმეში კვლევა-ძიება იყო საჭირო, რაც პირველად ერეკლე ხუნდაძემ შეასრულა და ერთად საინტერესო დოკუმენტები და მასალები გამოაქვეყნა 1932 წელს.

დღეისათვის საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში და ლიტერატურულ მუზეუმში დ. ჭონქაძის ბიოგრაფიაზე საკმაო დოკუმენტები და მასალები მოიპოვება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ავტორი ანგარიშს არ უწევს მოპოვებულ მასალებს და კვლავ ძველ შეცდომებს იმეორებს.

ვერის ძველ სასაფლაოზე (კიროვის პარკში), სადაც დ. ჭონქაძეა დასაფლავებული, საფლავის ქვაზე მწერლის დაბადების თარიღად 1830 წელია ნაჩვენები, რაც დიდხანს ერთადერთი დოკუმენტი იყო მისი დაბადების თარიღის დასადგენად. სინამდვილეში დ. ჭონქაძე 1831 წლის 15 დეკემბერს არის დაბადებული, რის შესახებაც სათანადო დოკუმენტი (დ. ჭონქაძის დაბადების მოწმობა) გამოაქვეყნა ა. მა- გომეტრიკაში (იხ. „ლიტ. გაზეთი" 1954 წ. № 27 და ჟურ. „მნათობი" 1957 წ. № 1). ეს დაბადების მოწმობა თვით დ. ჭონქაძის მიერ არის აღებული სინოდის კანტორიდან, მისთვის კოლეჟსკის რეგისტრატორის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

დ. ჭონქაძე რომ ნამდვილად 1831 წლის 15 (27) დეკემბერს არის დაბადებული, ამას მხარს უჭერს ჩვენს მიერ საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში გამოვლენილი კიდევ სამი ახალი დოკუმენტი.

1842 წელს დანიელის მამამ ითხოვა, რომ ს. ლაცის სამრევლოდან (ჩრდილოეთ ოსეთი), სადაც ის მღვდლად იყო, სხვაგან გადაეყვანათ. ამასთან დაკავშირებით სინოდის კანტორამ მოითხოვა ცნობები გიორგი ჭონქაძისა და მისი ოჯახის შესახებ. გ. ჭონქაძის სააქტებო ფურცლის მიხედვით ჩანს, რომ 1842 წლის აპრილის 29 რიცხვისათვის გ. ჭონქაძე 54 წლისა ყოფილა, მეუღლე მელანია — 46 წლისა, უფროსი ქალიშვილი — 20 წლისა და უმცროსი — 18 წლისა. დანიელი კი ამ დროს 10 წლისაა. ხოლო 1858 წლის ნოემბერში დანიელის მიერ სინოდის კანტორაში წარდგენილ საბუთებში 26 წლისა. დანიელის მამა ყოველთვის წერდა, რომ მისი შვილი 1831 წელს არის დაბადებული. დანიელიც ყოველთვის 1831 წელში დაბადებულად აწერებოდა და სინოდის კანტორის მიერ გაცემული დოკუმენტიც ამას ადასტურებს.

გარდა დაბადების თარიღისა, ზოგიერთი სხვა მომენტებიც არის დასაზუსტებელი დანიელისა და მისი მამის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი წერს, რომ დანიელის მამა გიორგი ოსეთის კომისიაში მღვდელმსახურებას მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ეწეოდა, მას ეგზარქატი სდევნიდა როგორც ყოფილ ყმას და სხვ. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება გიორგი ჭონქაძის არაერთი თხოვნა, მოხსენებითი ბარათი, საჩივარი და მათ ირგვლივ შექმნილი მიწერ-მოწერა, საიდანაც ირკვევა: გიორგი ჭონქაძე მღვდლად და დიაკვნად (ეკონომიურად) ხელდასხმული (დაწესებული) ყოფილა ეგზარხოს თეოფილაქტესა და ყოვლად სამღვდელო ხრისანთე რუსთაველის მიერ — 1820 წლის ოქტომბერში და იმავე წლის თავისი სურვილით გადმოჰყვანიათ ოსეთის კომისიაში. კურტატის ხეობაში სოფ. ლაცის მრევლში მღვდლად, სადაც 1843 წლამდე დარჩენილა. 1843 წლიდან 1846 წლის მარტის თვემდე კვლავ ოსეთშია ს. [illegible] სამრევლოში, 1843 წ. ოქტომბრიდან სიკვდილამდე კი რქინის მრევლშია მღვდლად. ამრიგად, გ. ჭონქაძე, გარდა ოსეთისა, სხვაგან არსად არ ყოფილა სასულიერო სამსახურში.

ადრე ეგონათ, რომ გ. ჭონქაძე 1845 წელს მოკვდა. ამ ბოლო დროს გასწორდა ეს შეცდომა და თითქმის ყველამ აღიარა, რომ გ. ჭონქაძე 1846 წელს არის მოკლული. ამ საკითხზე შექმნილი დოკუმენტები გვიუწყებს, რომ 1846 წლის 29 ნოემბერს გ. ჭონქაძე თავისი მრევლიდან — რქინიდან, ვლადიკავკაზში ჩასულა სიძესთან და ამავე დღეს უკანვე გაბრუნებულა. ქალაქიდან 8 კილომეტრზე, სოფელ გიზელთან ახლო, დღის 12 საათზე მას მოულოდნელად თავს დასხმია შეიარაღებული რაზმი. როგორც ვლადიკავკაზის ბლაღოჩინის გრიგოლ ცამციევისა და არდონის ბლაღოჩინის გიორგი ბერძენიშვილის მოხსენებითი ბარათებიდან ჩანს, გ. ჭონქაძისათვის თავდამსხმელებს ცივი იარაღით 14 ჭრილობა მიუყენებიათ.

გ. ჭონქაძის გასისხლიანებული ცხენი სოფელ გიზელში მისულა და მცხოვრებლებს ამით გაუგიათ მკვლელობის ამბავი, დაუყოვნებლივ უცნობებიათ ვლადიკავკაზში, საიდანაც სასწრაფოდ წასულა ჯარის უფროსი შეიარაღებული რაზმით; ქრისტიანული წესის შესასრულებლად მღვდელიც წაუყვანიათ. თურმე გ. ჭონქაძეს ცოცხალს ვეღარ მოუსწრეს. საღამოთი იგი ურმით ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეში მოუყვანიათ, ხოლო 1 დეკემბერს დაუსაფლავებიათ ქალაქის ეკლესიის ეზოში. დ. ჭონქაძე არ დასწრებია თავისი მამის დასაფლავებას. ამ მკვლელობის ამბავი თურმე მოახსენეს ეგზარხოს ისიდორეს, მან კი თავის მხრივ — მეფის ნაცვალ ვორონცოვს. გ. ჭონქაძის მკვლელობის შესახებ მიწერ-მოწერის პირველი ეტაპი წყდება 1847 წლის 15 დეკემბერს, ხოლო 1855 წლის 15 ნოემბერს ეს საქმე კვლავ აღიძრა და კვლავ დაიწყო უშედეგო მიწერ-მოწერა, რაც გრძელდებოდა 1858 წლის დასასრულამდე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1855 წელს გ. ჭონქაძის მკვლელობის საქმე დანიელ ჭონქაძის მიერ ხელახლა უნდა იყოს აღძრული. აბა სხვა ვინ გამოიდებდა თავს უკვე მივიწყებული, ხელისუფლებისთვის მოძველებული საქმის ხელახლებისათვის? აქვე აღსანიშნავია, რომ სწორედ 1855 წელს ითხოვა დ. ჭონქაძემ სასულიერო წოდებიდან განთავისუფლება (განთავისუფლდა 1855 წ. სექტემბერში). ე. ი. დ. ჭონქაძის სასულიერო წოდებიდან განთავისუფლებასთან ერთად იწყება მისი მამის მკვლელობის საქმის ხელახალი ძიება, ხოლო 1858 წლის დამლევს დ. ჭონქაძე იწყებს სინოდის კანტორაში მაგიდის უფროსად მუშაობას და მკვლელობის შესახებ მიწერ-მოწერაც წყდება.

გარდა ამისა, დ. ჭონქაძის სასულიერო წოდებიდან გასვლის მიზეზი ალბათ შემდეგი გარემოებაც იყო. 1854 წლის იანვრის 22-ში დ. ჭონქაძე თხოულობს, რომ დანიშნონ მღვდლად ზემახის ეკლესიის სოფ. ალტა-აგაში. როდესაც მან ეგზარხოსს თხოვნა გაუგზავნა, მაშინ აღნიშნულ მრევლში თავისუფალი იყო ადგილი. დ. ჭონქაძეს სინოდის კანტორამ თხოვნაზე განმეორებით დაგვიანებით უპასუხა (1854 წლის აპრილში), აღნიშნულ ადგილზე უკვე გამოუგზავნეს რუსეთიდან მღვდელი და ამრიგად თქვენი თხოვნა ვერ იქნა შეწყნარებულიო. დ. ჭონქაძე მიხვდა, რომ მას არაპირდაპირი უარი უთხრეს, რამაც, ბუნებრივია, გაანაწყენა. მან გადაწყვიტა დაეტოვებინა სასულიერო წოდება. (ცნობა დ. ჭონქაძის ამ თხოვნის შესახებ გამოაქვეყნა ა. კოპალაშვილმა, გაზ. „თბილისი", 1962 წ. 16 თებერვალი № 40.)

ახლა დ. ჭონქაძის მამის გ. წ. დევნისა და შევიწროვების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, გ. ჭონქაძე 1820 წლიდან სიკვდილამდე ოსეთში იყო მღვდლად. ცოლ-შვილი, სახლ-კარი და სახნავ-სათესი სოფელ ვეჯინში ჰქონდა. 1837-38 წლებში მოახერხა, რომ ცოლ-შვილიც წაეყვანა ოსეთში. მანამდე კი წელიწადში ერთხელ ძლივს ახერხებდა სოფ. ვეჯინში ჩასვლას, ხან ნებართვით, ხან — უნებართვოდ. რადგან როგორც ბლაღოჩინი, ისე ზემდგომი სასულიერო მმართველობა ყოველთვის არ აძლევდა ნებას ცოლშვილისთვის მიეხედნა. მაგალითად, გ. ჭონქაძეს 1828 წელს ცოტა ხნით მიუტოვებია მრევლი და სოფ. ვეჯინში წასულა. იქ ავად გამხდარა, დროზე ვეღარ დაბრუნებულა სამსახურში. ამავე დროს გარდაცვლილა უფროსი ქალიშვილი თეკლე (12 წლისა). 1831 წელს უფროსი ძმა მიტროფანე, რომელიც თბილისის მაზრის სოფ. ბოდბეში იყო მღვდლად, გარდაცვლილა და მისი ცოლ-შვილიც გ. ჭონქაძის ანაბარა დარჩენილა, რის გამოც ეგზარხოსს სთხოვა, რომ გაანთავისუფლონ ოსეთის კომისიიდან. გ. ჭონქაძემ სხვა დროსაც ითხოვა განთავისუფლება ოსეთიდან, მაგრამ ყოველთვის უარს ეუბნებოდნენ.

გ. ჭონქაძე 1831 წლის შემდეგ კვლავ მრავალჯერ იქნა დასჯილი ჯერ ვლადიკავკაზის ბლაღოჩინის იოანე მელნიკის და შემდეგ გრ. ცამციევის მიერ უნებართვოდ მრევლის მიტოვებისათვის. იგი ამის გულისათვის ბევრჯერ დააჯარიმეს და ერთხელ ერთი თვით მონასტერშიც გაგზავნეს სასჯელის მოსახდელად.

აღსანიშნავია, რომ სწორედ 1846 წელს გ. ჭონქაძემ ორი თხოვნა გაუგზავნა ეგზარხოსს, სხვაგან გადამიყვანეთო, აქ დიდი შიშიანობაა, ცოლშვილის გასატაცებლად ორჯერ დამესხნენ თავს ღამით, ამის გამო ცოლი ავად გამიხდა, ისეთი მდგომარეობაა, რომ შიშისაგან წყალზედაც ვეღარ გამოვსულვართო, 1845 წელს სახლი დამეწვა და ამ უბედურებას კვლავ ახალი ტრაგედია რომ არ დაემატოს, გთხოვთ გადამიყვანოთ აქედანო. მაგრამ გ. ჭონქაძის თხოვნას ყოველთვის უარით უპასუხებდნენ.

1846 წლის სინოდის კანტორამ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, რომ გ. ჭონქაძე გადაეყვანათ დუშეთის ან ჯავის საბლაღოჩინოში. ამის შესახებ მიწერილობა გაუგზავნეს იქაურ ბლაღოჩინებს იოანე სავანელსა და იაკობ ლომოურს, მაგრამ არც ერთმა არ აღმოაჩინა თავისუფალი ადგილი და რამდენიმე თვე გ. ჭონქაძეს ამ ლოდინში უშედეგოდ მოუხდა ყოფნა. ბოლოს გ. ჭონქაძე იძულებული იყო კვლავ მიემართა ეგზარხოსისათვის, რომ ისეთ პირობებში, როდესაც სოფ. ვეჯინში სახლ-კარი გაპარტახდა და ჩემი სახნავი მიწის ნაწილიც სხვებმა მიითვისეს, იქ უპატრონოდ დაბრუნება გამანადგურებელი იქნება ჩემთვის და ჩემი დაქცეული ოჯახისათვისო. ამჯერად შეიწყნარეს გ. ჭონქაძის თხოვნა და დროებით დატოვეს სოფ. რქინში მღვდლად, სადაც დაახლოებით თვენახევარი იცოცხლა.

ამრიგად, დანიელ ჭონქაძის მამას სდევნიდნენ იმიტომ, რომ სასულიერო მმართველობასთან კონფლიქტი ჰქონდა. ამ ბრძოლაში დაასრულა მან თავისი სიცოცხლე.

გრ. კაკიაშვილი

მარტოდმარტო.

ფოტო გ. გაბუნიასი

ცნობები მოსკოვიდან

ეძღვნება XXIII ყრილობას

როგორც უკვე ვუწყებოდით, მცირე თეატრმა დასადგმელად მიიღო საბჭოთა დრამატურგის გიორგი მდივნის ახალი პიესა „შენი ძია მიშა". თეატრი უკვე შეუდგა ამ სპექტაკლზე მუშაობას. მას დადგამს ვ. მონახოვი, მხატვარია ვ. კლოტცი.

პიესის მთავარი მოქმედი პირის მიხეილ ერმაკოვის როლს შეასრულებს თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი ვ. ხოხრიაკოვი.

მცირე თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა გადაწყვიტა, რომ „შენი ძია მიშა" სკკპ XXIII ყრილობას მიუძღვნას.

ქართული კერამიკისა და ოქრომჭედლობის გამოფენა

მოსკოველები დიდი ინტერესით ეცნობიან ქართული ხელოვნების კიდევ ერთ ახალ გამოფენას. ეს არის კერამიკისა და ოქრომჭედლობის გამოფენა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. გამოფენაზე წარმოდგენილია სამოცამდე ქართველი ოქრომჭედლისა და კერამიკოსის ნაწარმოები — თიხის ლარნაკები და ჭურჭლეული, თითბრისა და ბრინჯაოს პანოები, თასები.

გამოფენის გახსნისას სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ქ. [illegible]. მან აღნიშნა, რომ ოქრომჭედლობისა და კერამიკის ნაწარმოებთა ასეთი გამოფენა ჯერ არ ყოფილა საქართველოში და ასეთი გამოფენის მოწყობა მოსკოვში მას მიაჩნია აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუშაკთა დიდ დამსახურებად.

დირიჟორობს ოდისეი დიმიტრიადი

მოსკოველები დიდი ხანია იცნობენ სსრკ სახალხო არტისტის, ოდისეი დიმიტრიადის შემოქმედებით ოსტატობას, რითაც დირიჟორი ყოველთვის ხიბლავს მსმენელს. ამის დამადასტურებელი იყო ო. დიმიტრიადის უკანასკნელი გამოსვლა მოსკოვში.

ამასწინათ მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში სახელმწიფო ფილარმონიამ ჩაატარა ცნობილი კომპოზიტორის ვაგნერის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

კონცერტზე შესრულებულ იქნა ოპერა „ლოენგრინის" შესავალი და ანტრაქტი, იზოლდას სიკვდილის სცენის შესავალი ოპერა „ტრისტანი და იზოლდიდან", ხოლო, როცა პირველი განყოფილების დასასრულს ოპერა „რიენცის" უვერტიურა შესრულდა, მსმენელებმა სამჯერ გამოიძახეს სცენაზე ოდისეი დიმიტრიადი.

წარმატებით ჩაიარა მეორე განყოფილებამაც. კონცერტის დამთავრების შემდეგ ოდისეი დიმიტრიადი ოთხჯერ გამოიძახეს სცენაზე.

კონცერტი ტრანსლირებული იყო საკავშირო რადიოთი.

ს. რიქინაშვილი

საუკუნი

(დასასრული)

— ზოგჯერ ჩვენც გვეშლება ხოლმე!

— ეს არ უნდა შეგეშალოს, იქნებ ვინმეს ჰკონია, ამით ჯარისკაცს ვეხმარებიო, აქაო და გერმანელის მოკვლა ძალიან ადვილიაო! სად და როგორ — ეს თუ ვერ გაარჩიე, წამკითხველი არ დაგიჯერებს! განა მე არ ვიცი, რომ გამოუცდელ მებრძოლს გამხნევება და წაქეზება სჭირდება, მაგრამ ასე კი არა, ცარიელი სიტყვების რახარუხით...

მინდოდა სათქმელი ბოლომდე ეთქვა, ამიტომ აღარ შევედავე, ვაითუ დაფრთხეს და მთლად გაჩუმდეს მეთქი.

— იცით, ერთხელ კოლიამ რა გააკეთა? მაშინ ეს ჩვენი ბიჭები ახალი ჩამოსულები იყვნენ. ჯერ თოფის ხმაც არ გაეგონათ. იმ დღეებში მტერმა პირი იბრუნა და გაიქცა. ერთი პაი-პაით დავედევნეთ. ხან სად შევიმწყვდიეთ და შავი დღე დავაყენეთ, ხან სად... მაგრამ ბიჭები გაკვირვებულნი იყვნენ, ეს ამდენი ტყვე სად მიდისო, დახოცილებს რატომ ვერა ვხედავთო. კოლიამ კი იცოდა, რაშიც იყო საქმე! გაქცეულები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ჩვენი ხელით მოკლული გერმანელი ჩვენ არ დაგვენახა — აქაო და გერმანელს თქვენი ტყვია არა ჰკლავსო! მოკლულებს მაშინვე თან მიჰქონდათ მესაფლავეთა ოცეულებს და ჩუმად მარხავდნენ. მაშინ კოლიამ ერთი რაზმი გამოჰყო და იმ მესაფლავეებს გზა მოუჭრა. მკვდარმა კი არა, ცოცხალმა, ვერ გაგვასწრო. ვნახეთ, რა ვნახეთ! მთელი მინდორი გვამებით იყო მოფენილი. „აბა, თუ არა ჰკლავსო"! სთქვა მაშინ კოლიამ.

გაოცებული შევყურებდი ამ ახალგაზრდა ბიჭს. გამახსენდა კოლიას სიტყვები, გიორგი მუმლაძის ხელში ჩემი მტერი ჩავარდაო, — თუმცა ჩავარდნილია და ეგ არის...

კარდალაში წყალი აჩუხჩუხდა.

— მობრძანდით, — მითხრა მუმლაძემ და მაგიდაზე თუნუქის ვეება ტოლჩები შემოდგა. მალე იმ ტოლჩებს მხარი დაუმშვენა კონსერვის ქილებმა.

გიორგიმ პური დაჭრა, მერე საიდანღაც ხახვის თავები გამოაძვრინა.

— მდიდარი ხალხი ყოფილხართ, — ვთქვი მე.

— სასმელის მეტი არაფერი გვაკლია. სასმელსაც იშოვიდა კაცი, მაგრამ ახლა ხელი მოგვეშალა ჩვენმა მეთაურმა.

— მოხდა რამე?

— ამ გაზაფხულზე ერთმა ბიჭმა ძალიან აგვიჩია. სადღაც არაყი იშოვნა და ჩუმად დამთვრალიყო. შევხედე, პირში ენას ვერ აბრუნებდა. მიწურში ჩავიყვანე, დავაწვინე, უფროსმა არ დაგინახოს მეთქი. რა ვიცოდი, ჭკუიდან გადასული თუ იყო, თორემ მარტო როგორ დავტოვებდი! ერთხანს კი იყო გასუსული, მერე რაღაცამ წამოუარა, მიწურიდან გამოვარდა, ფურგონის ცხენს ზურგზე მოახტა და ურაო, დაიძახა. სანამ მე რამეს მოვისაზრებდი, ის უკვე ცხენს მინდორზე მიაჭენებდა. მაინც გამოვქაჩე, დავუყვირე, დაბრუნდი, მოგკლავენ მეთქი! აბა! უკან არც მოიხედა... ასე ურას ძახილით ცხენი პირდაპირ მდინარეში შეაგდო. გაღმა გერმანელები იყვნენ, მაგრამ მათი მხრიდან ერთი თოფიც არ გავარდნილა. ალბათ იფიქრეს, აქ რაღაც სხვა ამბავია, თორემ როდის იყო, ერთი კაცი იერიშზე მოდიოდაო. კოლიაც მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო, გადმოიღო თოფი და პირველივე ტყვიით ცხენიდან ჩამოაგდო ის უბედური ბიჭი... ასე იყო ეს ამბავი. ახლა კოლია თავს წაგაცლის, პირიდან არაყის სუნი რომ ამოგივიდეს!

— ქართველი იყო?

— ვინც იყო — იყო!

აღარ ჩავაცივდი. ალბათ არ იყო სათქმელი და არ მითხრა.

„სიბრძნე-სიცრუისა"

რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „სიბრძნე სიცრუისა" მრავალმხრივ არის საინტერესო. სპექტაკლი დადგეს ახალგაზრდა რეჟისორებმა — ნანა ხატისკაცმა და თენგიზ მაღალაშვილმა. პიესა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით ნანა ხატისკაცმა დაწერა. ინსცენირების ავტორს მდიდარი მასალა ჰქონდა ხელთ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მასალის დამორჩილება და ახალ მხატვრულ ფორმაში მოქცევა არც თუ ისე იოლი საქმე იყო. ნანა ხატისკაცმა ძირითადად დაძლია ეს სიძნელე და „სიბრძნე სიცრუისა" სცენიურად აამეტყველა. დრამატურგმა, ჩვენი აზრით, მართებულად გამოკვეთა ის მთავარი მოტივები და ხასიათები, რითაც სულხან-საბას წიგნმა უკვდავება მოიპოვა და ჩვენი ხალხის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა.

პიესაში, ისევე როგორც წიგნში, ულმობლადაა გაკიცხული მეძავი, სიხარბე, პირმოთნეობა, ტყუილი და ადამიანის სხვა მანკიერი მხარეები.

მაყურებლისათვის თავიდანვე ცხადი ხდება ნაწარმოების ძირითადი პათოსი: მოზარდის სწორი აღზრდა, ჩვენება ჭეშმარიტი გზისა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს იგი ნამდვილ ადამიანად. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ ვეზირები მხიარული შეძახილით აცნობენ ქვეყანას უფლისწულის გაჩენას: — დაიბადა ადამიანი. ამ სიტყვებს ღრმა სიმბოლური აზრი აქვს. თავდაპირველად იგი ბუნების უდიდეს საოცრებას — ადამიანის ფიზიკურ დაბადებას აღნიშნავს. ფინალში, როცა უფლისწული უსამართლო ცხოვრების ყველა უკუღმართობას თავის თავზე გამოცდის და ხანგრძლივი „მოგზაურობიდან" სულიერად გასპეტაკებული ბრუნდება, კვლავ იგივე შეძახილი ისმის. აქ ეს ფრაზა სულ სხვა აზრს, სხვა მნიშვნელობას იძენს — ჩვენ ვხვდებით, რომ ქვეყანას ერთი ნამდვილი ადამიანი შეემატა მისი ტკივილებისა და ავკარგის გამგები.

აღსანიშნავია, რომ სპექტაკლში მთლიანად ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ. შეიძლება ამ დადგმაში ბევრი რამ საჩოთიროდ მოგვეჩვენოს, ზოგი რამ გვეჩოთირის კიდეც, მაგრამ ერთი ცხადია — ახალგაზრდა კოლექტივს გულმოდგინედ, მონდომებით უმუშავია და ამ გარჯას გარკვეული ნაყოფიც გამოუღია.

პიესაში კარგად არის ჩართული უსახელო უფლისწულისა (სოსო ლაღიძე) და ერთი უცნაური სოფლელი გოგონას (იზა გიგოშვილი) რომანი. ახალგაზრდა ადამიანების ურთიერთშეცნობის, ურთიერთგაგების ეს ლამაზი მოტივი სასიამოვნოდ გასდევს და კომპოზიციურად კრავს მთელს ნაწარმოებს. უსახელო უფლისწულის როლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მათ შორის, რაც სოსო ლაღიძეს უთამაშნია. მსახიობი გარეგნობითაც შესაფერია ამ როლისათვის და გმირის შინაგან სამყაროსაც კარგად გადმოსცემს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე იზა გიგოშვილის მიმზიდველი, ძალდაუტანებელი თამაში. ეს ახალი როლი მსახიობის ამპლუას შემოქმედებით ზრდაზე მეტყველებს.

მთელს პიესაში სულ რამდენიმე იგავია გამოყენებული. იგავთა აზრის ახსნისთვის და გადმოსაცემად რეჟისორებს ძირითადად პანტომიმა აურჩევიათ. მსახიობებმა ხელშესახებად გადმოსცეს იგავების პერსონაჟთა ხასიათი. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის დავით პაპუაშვილზე, რომელმაც რამდენიმე იგავში მეტად განასახიერა.

გარდასახვის კარგი უნარი გამოამჟღავნეს კახი კავსაძემ, ნოდარ ფირანიშვილმა, გურამ ხარაბაძემ, რევაზ ჩხაიძემ, გოგი ჭიჭინაძემ, გოგი ქავთარაძემ და სხვებმა. თვითეულ მათგანს ხუთი-ექვსი პატარ-პატარა როლი აქვს.

სპექტაკლის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად მსახიობთა მეტყველების ცუდი დიქცია უნდა ჩაითვალოს. ბევრი სიტყვა თუ ფრაზა მაყურებლის ყურამდე არ აღწევს. სამწუხაროდ, ეს ნაკლი მარტო ამ სპექტაკლს არ ახასიათებს, კარგი იქნება, თუ ჩვენი მსახიობები მეტყველებას უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ.

[illegible] სიჭარბემ გამოიწვია.

როგორც ზემოთ ვთქვით, პიესის ძირითადი აზრი მაყურებლისათვის ნათელი და გასაგებია, მაგრამ ზოგჯერ მიმზიდველი მორალური სენტენციებით არის გადატვირთული. იშვიათად, მაგრამ მაინც ყურს ჭრის ეთიკეტურობას მოკლებული ზოგიერთი ხუმრობა, (მაგალითად, ძროხის გაყიდვის სცენა). ვფიქრობთ, ცოტა პათეტური და სიტყვამრავალია მოგზაურობიდან დაბრუნებული უსახელო უფლისწულის მონოლოგი. მართალია, შექმნილი სიტუაცია და უფლისწულის სულიერი მდგომარეობა პათეტიკურად განგვაწყობს, მაგრამ აქ მეტი სისადავე იყო საჭირო. სამაგიეროდ, სპექტაკლის ფინალი ნამდვილ რეჟისორულ მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ნიკოლოზ იგნატოვის ნამდვილად ბრწყინვალე მხატვრობა. სპექტაკლის დასაწყისში, სცენის სიღრმეში ვხედავთ თითქოსდა მთელ სამყაროს, უთვალავი ფერითა და საგნით გაცოცხლებულს. იგივე სურათი ერთხელ კიდევ გამოჩნდება სპექტაკლის ბოლოს, ოღონდ უფრო შევსებული და გამრავალფეროვნებული. გრანდიოზულ სანახაობას კარგად ერწყმის და უფრო დიდებულს ხდის ეკლესიის, ციხე-გალავნის და სასახლის ორნამენტულად გაკეთებული თეთრი მაკეტები. ამავე დროს მხატვარმა კარგად გამოიყენა სცენის სიღრმე და სამოქმედო ასპარეზი შეუქმნა მსახიობებს.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ნოდარ მამისაშვილის მუსიკა. ახალგაზრდა კომპოზიტორი ზომიერად, ოსტატურად იყენებს ქართული ხალხური მუსიკის მოტივებს.

„სიბრძნე სიცრუისა" უთუოდ საყურადღებო სპექტაკლია. იგი სიკეთის, სიყვარულის, ჭეშმარიტ ადამიანობის უმღერის.

ემზარ კვიტაიშვილი

ჟურნალები ოქტომბერში

„ცისკარი" № 10

დაიბეჭდა და მკითხველებმა ამ დღეებში მიიღეს ჟურნალ „ცისკრის" (რედაქტორი ხუტა ბერულავა) მეათე ნომერი. ჟურნალში რუბრიკით — „ფიქრები ხვალზე" — წარმოდგენილია გიორგი ნატროშვილის წერილი — „პოეზია, კრიტიკა და... წიგნის გამომცემელი" და ალექსი ჭინჭარაულის — „აქამან გოლოგოს „მიმზიდველი წერილი". პოეზიის განყოფილებაში მოთავსებულია: თ. ჯანგულაშვილის — „ზღვისა და მიწის ლეგენდა", შ. ნიშნიანიძის — „[illegible]", ჯ. ჩარკვიანის — „თბილისიდან ბარცამდე", ნ. კილასონიას — „შენ გაგიმარჯოს, პატარა გოგო!" და მ. [illegible] ლექსები. პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია: მ. ბასიაშვილის — „ბალღური ყვავილები", გ. ფანჯიკიძის სამი მოთხრობა და თ. [illegible]„კუა", ჟურნალში წარმოდგენილია ჟან ანუის პიესა „ტრილა", (თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა). დიდი ლენინისადმი არის მიძღვნილი ნ. წერეთლის წერილი „წყარო მთავრობისა".

რუბრიკით „ჩვენი ახალგაზრდობის მეგობრები" წაიკითხავთ აკადემიკოსების გ. გამსახურდიას — „სახლი და გონივრული ძიება", ს. ხეჩინაშვილის — „არა მხოლოდ ჭკუის მასწავლებელი" და გ. მელიქიშვილის — „საჭიროა მეტი სითამამე".

ხელოვნების განყოფილებაში დაბეჭდილია ნ. გურაბანიძის — „რეჟისორი ეძებს თეატრს", ხ. ვალერიუსის — „ისტორია და თანადროულობა" და ნ. ჯნელაძის — „მუდმივ ძიებაში".

„ჩვენს კალენდარში" მოთავსებულია ნ. ალანიას წერილი — „ნათელი სიყვარულისა" (აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავი) და გ. ჯიბლაძის — „გამოთხოვება გრიშაშვილთან".

ჟურნალი აქვეყნებს: გ. კობერიძის, ი. ქემერტელიძის, დ. ივარდავას, ს. შამერიანის და ვ. მესხის რეცენზიებს.

განყოფილებებში — „თვიდან თვემდე" და „ყოველი მხრიდან" ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურული ცხოვრების ქრონიკები.

„ლიტერატურული აჭარა" № 5

გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ჟურნალის „ლიტერატურული აჭარის" მეხუთე, სექტემბერ-ოქტომბრის ნომერი. „ლიტერატურული აჭარა" გამოდის ორ თვეში ერთხელ. ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია გ. ლეონიძის, ფრ. ხალვაშის და ჯ. ჯაველის ლექსები; ნ. ჩხაიძის „მფრინავი" (მოთხრობა), ი. ბენიძის დოკუმენტური მოთხრობა „გზები და გზაჯვარედინები", ჯი და მოპასანის „წუთისოფელი" (რომანი, გაგრძელება).

საიუბილეო თარიღებს ეძღვნება ალ. გომიაშვილის „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ლიტერატურა" და გ. სალუქვაძის „სერგეი ესენინი". აქვე დაბეჭდილია ს. ესენინის ლექსი „ყვავილები" (თარგმანი გ. სალუქვაძისა).

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია ალ. ჩავლეიშვილის „მხატვრული ოსტატობის თეორიული საკითხები" და შ. ქურიძის „დრამატურგის გზა", აჭარის რევოლუციურ წარსულს ეძღვნება ლ. შარაშიძის „მეზღვაური რევოლუციონერი", ფოლკლორის საკითხებს განიხილავს ალ. მახალაძის „ძეობის ლექსი-სიმღერები", სატირისა და იუმორის განყოფილებაში დაბეჭდილია აზიზ ნესინის „მიბოძეთ, რასაც ინებებთ" — (თარგმანი თურქულიდან ნ. გვარიშვილისა).

შეხვედრა მოსწავლეებთან

თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს ესტუმრნენ მწერლები ალიო მირცხულავა, ხუტა ბერულავა, სიმონ წვერავა და ჯანსუღ ჩარკვიანი. შეხვედრა გახსნა სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ლ. ჭიპაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა თ. მარღანიამ, ვ. ტაბაღუამ, ნ. აბდუშელიშვილმა, მ. ორაგველიძემ, ნ. სავგარელიძემ, რ. ვარდოსანიძემ და სხვებმა. მეორეკლასელმა მერაბ მირცხულავამ წაიკითხა თავისი პაპის — მოსწავლეთა სასტუმრო სტუმრის ალიო მირცხულავას ლექსი „ჩემი სამშობლო".

მასპინძლებს თავიანთი ახალი ლექსები გააცნეს ა. მირცხულავამ, ხ. ბერულავამ და ჯ. ჩარკვიანმა. ს. წვერავამ ილაპარაკა ლიტერატურის აღმზრდელობით როლზე.

ახალი წიგნები

„ლიტერატურა და ხელოვნება"



იროდიონ ქავთარაძე — ადამი და ევა (მოთხრობები). ეს არის ავტორის მოთხრობების მეორე წიგნი. ამ წიგნში შეტანილია ზოგიერთი მოთხრობა [illegible]. რედაქტორი ნ. ხოზრევანიძე, მხატვარი — გ. [illegible], გვ. 204, ფასი 26 კაპ.

ვალერიან ჩერნი — ნექტარინა. თარგმანი ვალერიან გუნიასი. ეს წიგნი პირველად 1885 წელს დაიბეჭდა „ივერიის" 7-8 ნომრებში. რედაქტორი — ვ. სოლომონიძე, გვ. 84, ფასი 12 კაპ.

ჯანსუღ ჩარკვიანი — ფერადი მერცხლები (ლექსები). რედაქტორი — შ. ფოცხიშვილი, გვ. 108, ფასი 19 კაპ.

ივანე თარხა — მთიდან მთაზე. (ლექსები). რედაქტორი — მ. ფოცხიშვილი, გვ. 94, ფასი 19 კაპ.

[illegible] — ლექსები. რედაქტორი — მ. ფოცხიშვილი, გვ. 96, ფასი 16 კაპ.

[illegible] — ჩემი წარსულიდან. რედაქტორი — ნ. [illegible], მხატვარი — ე. ამბოკაძე, გვ. 170, ფასი 32 კაპ.

„საბჭოთა საქართველო"

გურამ რჩეულიშვილი — მოთხრობები. პიესა. რედაქტორი — ლ. [illegible], მხატვარი — გ. ოჩიაური, გვ. 413, ფასი 68 კაპ.

დავით ქორიძე — სახელოვანი ქართველი ქალები. რედაქტორი — ლ. ნატროშვილი, მხატვარი — დ. [illegible], გვ. 192, ფასი 39 კაპ.

ე. ბურჯულაძე — სოციალისტური ერები განვითარების ახალ ეტაპზე. რედაქტორი — შ. ჩიქოვანი, მხატვარი — ო. [illegible], გვ. 173, ფასი 34 კაპ.

„ნაკადული" —

ნიკოლოზ პოგოდინი — ქარვის ყელსაბამი (რომანი). თარგმანი თ. [illegible] და ა. [illegible], რედაქტორი — მ. [illegible], მხატვარი — ი. [illegible], გვ. 292, ფასი 74 კაპ.

ზაქარია შერაზადიშვილი — [illegible] ქართული ხალხური თამაშობანი. რედაქტორი — ნ. [illegible], მხატვარი — ლ. [illegible], გვ. 166, ფასი 34 კაპ.

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების, გაზეთ „ქუთაისის" რედაქციისა და ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" ინიციატივით მწერალთა და ჟურნალისტთა ჯგუფი გაემგზავრა რაჭა-ლეჩხუმში, იმ ადგილების გასაცნობად, სადაც 1912 წელს იმოგზაურა აკაკი წერეთელმა.

აკაკისადმი მიძღვნილი მიტინგი გაიმართა სოფელ ქრებალოში. სიტყვები წარმოთქვეს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანმა დ. კვიცარიძემ, კრიტიკოსმა მ. ალავიძემ და ქრებალოს საშუალო სკოლის მასწავლებელმა ი. თვარაძემ. დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს გ. სამხარაძემ, ა. გურჯიძემ, რ. ბერიძემ და ლ. ნეცუბიძემ.

იმავე დღეს ლიტერატურული საღამო გაიმართა ამბროლაურის კულტურის სახლში. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ამბროლაურის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ გ. ვაჩაძემ. მოხსენება „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" წაიკითხა მ. ალავიძემ. მოგონებით გამოვიდა პირველი ქართველი კინოოპერატორი, ფილმის — „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" — ავტორი ვასილ ამაშუკელი. სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს დ. კვიცარიძემ, გ. სამხარაძემ, ა. გურჯიძემ, რ. ბერიძემ, ლ. ნეცუბიძემ. დამსწრეებმა დიდი ინტერესით ნახეს კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში".

მეორე დღეს მწერალთა და ჟურნალისტთა ჯგუფი ეწვია ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშს. მათ დაათვალიერეს სახლი, სადაც აკაკის გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ლეჩხუმელმა მშრომელებმა.

ლაილაშის კლუბში გაიმართა აკაკის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

* * *

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადების 70 წლისა და მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მოხსენება წაიკითხა მწერალმა ლ. სანიკიძემ. საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს დოცენტებმა დ. ბრეგაძემ, დ. ჯანელიძემ, მ. ალავიძემ, გ. კალანდიშვილმა, ნ. [illegible], ო. გიორგაძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ი. ვარლამიშვილმა და სტუდენტმა გ. ბასილაძემ.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ს. ყაუხჩიშვილმა, რომელიც 20 წლის განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის ინსტიტუტში. მან სიყვარულით გაიხსენა ეს წლები და დამსწრეებს გულთბილი შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა.

* * *

ქუთაისის მწერალთა კლუბში გაიმართა გ. სამხარაძის ლექსების ციკლის — „რუსთაველის ჩირაღდნების" განხილვა. ლექსების ირგვლივ აზრი გამოთქვეს მწერლებმა დ. კვიცარიძემ, ა. გურჯიძემ, ს. არველაძემ, კ. მეძველიამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ და პედაგოგმა ი. ვარლამიშვილმა. ავტორმა გაიზიარა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები.

სანიტარული კულტურის თეატრში

თბილისის სანიტარული კულტურის თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა [illegible] პიესა „ვინ აგებს პასუხს" (თარგმანი დ. ჭელიძისა). დადგმა ქუთაისის თეატრის მთავარ რეჟისორს გ. სხირტლაძეს ეკუთვნის, მხატვრობა — რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს კ. ნინიძეს, მუსიკა — კომპოზიტორ ნ. გაბუნიას. მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ც. მეძმარიაშვილი, ვ. სანაძე, მსახიობები გ. ცაგარეიშვილი, ბ. ვლადიმერაშვილი, ელ. გოზალიშვილი, ნ. სისაური.

თეატრმა მიმდინარე სეზონში უკვე დადგა შოთა ნამორაძის პიესა „პროფესორის სასიძოები". (რეჟისორი — გ. სხირტლაძე, მხატვარი — კ. ნინიძე, მუსიკალური გაფორმება — გ. ღლონტისა). დადგმაში მონაწილეობენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ნარსია, აჭარის დამსახურებული არტისტი ა. სარჯველაძე, მსახიობები ე. ასლამაზიშვილი, ო. ქურასელიძე, ჯ. ბოხუა, ვ. მაზმიშვილი, ლ. ხომერიკი, ა. ცაგარეიშვილი, ა. [illegible] და ქ. მეჭუღლიშვილი.

თეატრის კოლექტივი ამ დღეებში საგასტროლოდ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

ნელი ჩაჩავა

მახარაძელთა გასტროლები

ამ ბოლო ხანებში ერთი კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს რესპუბლიკის თეატრებმა, — ისინი ხშირად ჩამოდიან დედაქალაქში და მაყურებელს თავიანთ საუკეთესო დადგმებს უჩვენებენ. მახარაძის თეატრი ამჯერად მეორედ ჩამოდის საგასტროლოდ თბილისში.

მახარაძის სახელმწიფო თეატრი (მთავარი რეჟისორი ლ. პაქსაშვილი) უმთავრესად დედაქალაქის თეატრებში აპრობირებულ პიესებს ჰკიდებს ხელს. ცდილობს თავისებურად წაიკითხოს იგი და, უნდა ითქვას, ხშირად წარმატებასაც აღწევს.

25 და 26 ოქტომბერს მახარაძელებმა ორი სპექტაკლი წარმოადგინეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. პირველ საღამოს გვიჩვენეს ი. კაკულიასა და ნ. გაჩავას მიერ შვეიცარიელი მწერლის გ. კელერის რომანის „რომეო და ჯულიეტა სოფელში" — ინსცენირება. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ლ. პაქსაშვილი, მხატვრობა ეკუთვნის შ. დარჩიას. როლებს ასრულებდნენ: ა. ქაჯაიშვილი, ვ. პაქსაშვილი, ა. ართმელიძე, მ. წიგნაძე, ს. ლომიძე, ჭ. კეპულაძე, გ. ახვლედიანი, რ. სარიშვილი და ო. ჭიჭინაშვილი.

მეორე საღამოს მახარაძის თეატრმა ბერძენი დრამატურგის ნ. პერიალისის ხალხური დრამა „ბედთიანი გოგონა" წარმოადგინა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ლ. პაქსაშვილი, მხატვარი — ე. ხარაზია, როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ვ. დოლიძე და ვ. ბაქრაძე, მსახიობები: ვ. პაქსაშვილი, ა. ქაჯაიშვილი, ა. ართმელიძე, ე. მეჩიაური, გ. ახვლედიანი, რ. სარიშვილი, ი. ჭიჭინაშვილი, ჭ. კეპულაძე, მ. წიგნაძე და შ. ცქიტიშვილი.

მახარაძელთა ამ ორმა სპექტაკლმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

რედაქტორის მაგიერ ერ. ქარელიშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. ზურაბიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, ე. ჯაფარიძე.

გამოიწერეთ გაზეთი
ლიტერატურული საქართველო
1966 წლისათვის.
ხელმოწერის წლიური ფასია 5 მან. 20 კაპ.
6 თვით — 2 მან. და 60 კაპ.

ИНДЕКС 68449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03659